პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

კვირა
17
იანვარი
1937 წ.
№ 14 (4816)

დღეს გაზეთში:

— საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—ამხანაგ სტალინს (ბათომის პარტაქტივის კრების მისალმება)
— საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის დადგენილება მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში სოცშეჯიბრების გაშლის შესახებ
— ამხანაგ მ. ი. კალინინის მოხსენება სრულიად-რუსეთის საბჭოების საგანგებო XVII ყრილობაზე
— საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება ოთხფეხი საქონლის აღწერის შესახებ.
უცხოეთში:
— ბრძოლა მადრიდისათვის
— რესპუბლიკელებმა გაარღვიეს მტრის ფრონტი ტერუელში
— მდგომარეობა ესპანეთის ფრონტებზე
— გერინგის საუბარი რომში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი— ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით ბათომის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა და რსდმპ-ის ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათომის პირველი კომიტეტის შექმნისა და ჩამოყალიბების 35 წლისთავის ისტორიულ დღეს — საქართველოს კ. პ. (ბ) ბათომის საქალაქო ორგანიზაციის აქტივი მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გითვლით თქვენ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს, სოციალიზმის უდიდეს გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

შესანიშნავი 35 წლისთავის დღეს ჩვენს პირველ სიტყვას, ღრმა სიყვარულის, პატივისცემისა და ერთგულების სიტყვას მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ,** კაცობრიობის დიად გენიოსს, სოციალიზმის ქვეყნის მესაჭეს, დიადი კომუნისტური პარტიის ბელადს. ამ ისტორიულ თარიღს ჩვენ აღვნიშნავთ იმ დღეებში, როდესაც დიადი 170-მილიონიანი საბჭოთა ხალხი ცხოვრობს ბედნიერი, სიხარულით აღსავსე ცხოვრებით, როდესაც ჩვენს მშვენიერ სოციალისტურ სამშობლოში ამაყად ფრიალებს დიადი დროშა ახალი კონსტიტუციისა, რომლის ინიციატორი, სულისჩამდგმელი, შემოქმედი ხართ თქვენ, ჩვენო საყვარელო, მშობლიურო მამავ, მეგობარო და მასწავლებელო.

თქვენს სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული **ლენინ-სტალინის** ჩვენი დიადი პარტიის მთელი ისტორია, მის გამარჯვებათა ისტორია.

რევოლუციური მოძრაობის განთიადზე, როდესაც ლენინი ბოლშევიკურ პარტიას საფუძვლებს უყრიდა, თქვენ შექმენით და გამოზარდეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, თქვენ შეამჭიდროვეთ და დარაზმეთ ლენინური „ისკრის" დროშის ქვეშ თბილისის, ბაქოს, ბათომის, ჭიათურის და სხ. რევოლუციური პროლეტარები.

ჩვენ, ბათომის ბოლშევიკები, ვამაყობთ და ბედნიერი ვართ იმით, რომ ჩვენი ბათომის პარტიული ორგანიზაცია დიდი სტალინის მიერ არის დაარსებული.

თქვენ მიერ შექმნილსა და გამოზრდილს, თქვენი ხელმძღვანელობით ბოლშევიკური წრთობის უდიდეს სკოლა გამოვლილს, სტალინური ტრადიციების ერთგულ ბათომის პარტორგანიზაციას მუდამ მაღლა ეჭირა და უჭირავს **ლენინ-სტალინის** დიადი დროშა, წარმოადგენს რა ჩვენი პარტიის, მისი სტალინური ც. კ.-ის საიმედო დასაყრდენს.

ჩვენ, ბათომის ბოლშევიკები ვერ დავივიწყებთ თქვენს ბრძნულ სიტყვებს, ჯერ კიდევ 35 წლის წინათ ნათქვამს, რომ მუშათა კლასის გამარჯვებისათვის აუცილებელია გამოიჩინო რევოლუციური სიფხიზლის მაქსიმუმი, არ მისცე კლასობრივ მტერს შესაძლებლობა შემოიპაროს ჩვენს რიგებში, უნარი შეგწევდეს გამოიცნო და დაუზოგავად გაანადგურო იგი.

პარტიისა და მუშათა კლასის ყველა მტრისადმი სტალინური შეურიგებლობის სულისკვეთებით აღზრდილნი, ბათომის და მთელი აჭარის ბოლშევიკები, შეტევითი რევოლუციური სიფხიზლითა და მტრისადმი შეუბრალებლობით გამსჭვალულნი, ფხიზლად იცავენ **ლენინ-სტალინის** პარტიის რიგების სიწმინდეს.

მარქს-ენგელს-ლენინის დროშის ქვეშ, თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით, პარტიამ გაანადგურა მუშათა კლასის მტრები—კონტრრევოლუციური ტროცკისტები, ზინოვიეველები, მემარჯვენე ოპორტუნისტები და მათი დამქაშები, მიაღწია თავისი რიგების მონოლიტობას, უზრუნველჰყო სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება.

დიდი სტალინური მეგობრობით ერთ ძმურ ოჯახად შედუღებულნი, საბჭოთა კავშირის ხალხნი ლენინურ-სტალინური პოლიტიკის დროშით გაბედულად და მტკიცედ მიდიან სოციალიზმის ახალი და კიდევ უფრო გრანდიოზული მონაპოვრებისაკენ. მეფის თვითმპყრობელობისა და კონტრრევოლუციური მენშევიზმის მიერ ოდესღაც დამონებული და დაჩაგრული აჭარა საბჭოთა ხელისუფლების დროს, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ბრძოლებში გამობრძმედილი მისი ხელმძღვანელის, თქვენი ერთგული მოწაფის ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით, აყვავებულ საბჭოთა რესპუბლიკად გადაიქცა. გაიზარდა და გარდაქმნას განიცდის ბათომიც, რომელიც გადაიქცა ერთერთ საუკეთესო და ულამაზეს სოციალისტურ ქალაქად, შავი ზღვის საბჭოთა სანაპიროს მარგალიტად.

ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება თქვენი სიტყვები, ნათქვამი 1901 წლის 31 დეკემბრის ღირსშესანიშნავ ღამეს: „უკვე ამოდის მზე. გავლენ წლები და ეს მზე დაიწყებს ბრწყინვას მუშათა კლასისათვის".

საყვარელო და ძვირფასო **ამხანაგო სტალინ!** თქვენი ბრძნული სიტყვები, თქვენი განჭვრეტა ასკეცად განხორციელდა ცხოვრებაში. მზე, რომლის შესახებაც თქვენ 35 წლის წინათ ლაპარაკობდით, სოციალიზმის მზე, დღეს კაშკაშა სხივებს აფრქვევს ჩვენი დიადი სამშობლოს თვალუწვდენელ ტერიტორიას. დიდი საბჭოთა კავშირის თავისუფალი ხალხები ლაღად და თავისუფლად ცხოვრობენ სოციალიზმის მზის ქვეშ, მუშათა და გლეხთა მრავალერიანი სოციალისტური სახელმწიფოს ხალხნი, აშენებენ რა ბედნიერსა და სასიხარულო ცხოვრებას, აღვსილნი არიან უდიდესი და უსაზღვრო სიყვარულის და სიხარულის გრძნობით თქვენდამი, დიდი ბელადისა და ადამიანის ბედნიერების გენიალური გამომჭედისადმი.

ბათომისა და მთელი აჭარის ბოლშევიკები, მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად, მხურვალე სიყვარულითა და გულითადი მადლობით წარმოსთქვამენ სტალინის სახელს — იმის სახელს, ვისაც საბჭოების ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს, ვინც ჩვენი ქვეყნის ხალხებს მისცა თავისუფლება და ბედნიერება, ვინც დაეხმარა მათ სამუდამოდ გადაეგდოთ კაპიტალისტური მონობის, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის, უმეცრებისა და სიბნელის, შიმშილის, სიღატაკის და ერთ წერტილზე გაყინვის უღელი, ვისაც ჩვენ მივყავართ კომუნიზმისაკენ.

თქვენ გვასწავლიდით და გვასწავლით კი არ გავმედიდურდეთ, კი არ დავჯერდეთ მიღწეულ წარმატებებს, არამედ შეუპოვრად, მედგრად ვიაროთ წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ, ავამაღლოთ ბოლშევიკური სიფხიზლე, გვქონდეს უნარი რომელ უბანზედაც გნებავთ, რომელ ვითარებაშიც გნებავთ გამოვიცნოთ კლასობრივი მტერი, რა ნიღაბიც არ უნდა აიფაროს მან.

ასრულებენ რა თქვენს მითითებებს, ბათომისა და აჭარის ბოლშევიკები უფრო მეტი ენერგიითა და ძალღონით განამტკიცებენ პარტიულ და საბჭოთა მუშაობას, სტალინური შეურიგებლობით ამხელენ და დაუზოგავად ანადგურებენ პარტიისა და ხალხის დაუძინებელ მტრებს — კონტრრევოლუციურ - ტროცკისტულ-ზინოვიევურ არამზადებს — ამ ფაშისტურ დივერსანტებს, ჯაშუშებს, მავნებლებს, კაპიტალიზმის რესტავრატორებსა და მათ დამქაშებს—მემარჯვენე გარეწრებს.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ჩვენო დიდო მასწავლებელო, საყვარელო ბელადო და მეგობარო, რომ, ბრძოლებში გამოწრთობილი ბოლშევიკის, თქვენი ერთგული მოწაფის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით, ბათომის პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც საფუძვლები თქვენ ჩაუყარეთ, საქართველოს მთელ კ. პ. (ბ)-თან ერთად, ყოველთვის ივლიან **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის მოწინავე ორგანიზაციათა რიგებში.

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** ჩვენს დიად უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს, მშობლიურ მამასა და მეგობარს, ამხანაგ სტალინს!

თამბაქოს დამზადება

(თამბაქო ნედლეულის 10 იანვრის ცნობებით)

რაიონების დასახელება	დამზადების გეგმა ტონობით	გეგმის შესრ. პროცენტ.	შესრულების პროცენტი ხარისხების მიხედვით I	II	III	IV	V
ლაგოდეხი	2450	90,1	83,3	77,3	71,7	75,6	200
სიღნაღი	861	73,6	60	64,4	54,1	59,1	152
ყვარელი	259	73,9	—	1	35	39,5	236,5
გურჯაანის	105	72,8	—	15	29	44,3	205,3
ბორჩალო	745	90	150	304,4	545,5	68,3	103,6
ლუქსემბურგი	70	95,1	—	350	1700	48,1	185,6
ზუგდიდი	91	76	13,3	25	30,9	90,4	190,9
წალენჯიხა	31	71,6	—	8,3	26,7	30,6	171,4
ჩხოროწყუ	45	76	—	5	10,5	80,6	294,5
ჩოხატაური	101	123,7	30	36,2	39	10,4	400,7
აჭარის სსრ	350	68,3	20	20	23,6	47,1	294,9
სულ	5108	84,9	59,1	63,1	68,9	67,7	181,8

მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოს დამზადებისათვის სავსებით ხელსაყრელი კლიმატური პირობებია (შესაფერი სინესტე, რაც ხელს უწყობს დაწყობა-დახარისხებას, შედარებით ზომიერი ტემპერატურა), მთელ რიგ რაიონებს პუნქტებზე კვლავ გადაურჩეველი, არეული ასორტიმენტის ნედლეული მიაქვთ, არ იღებენ საჭირო გადამწყვეტ ზომებს იმისათვის, რომ მოსავლიდან აუცილებლად გამოჰყონ და სახელმწიფოს ჩააბარონ პირველი, მეორე და სხვა ხარისხების თამბაქო.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ყვარლის რაიონი. მეოთხე თვეა მას პუნქტისთვის არ ჩაუბარებია პირველი ხარისხის არცერთი კილოგრამი ნედლეული (უნდა ჩაებარებინა 0,6 ტონა), ხოლო მეორე ხარისხის თამბაქოს გეგმა (2 ტონა) მხოლოდ ერთი პროცენტით შესრულდა.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ყვარლის რაიონს არაერთხელ მიეთითა წუნდებულ თამბაქოს ჩაბარების შემცირებისა და ხარისხოვანი მასალით გეგმის დაჩქარებით შესრულებაზე, ის ისევ განაგრძობს ძველი ტემპით და საერთოდ უყურადღებოდ მუშაობას.

დიდი ჩამორჩენაა აგრეთვე აჭარაში და გურჯაანის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის და ჩოხატაურის რაიონებში. სხვათა შორის გურჯაანის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებს ერთი პროცენტითაც არ შეუსრულებიათ პირველი ხარისხის თამბაქოს ჩაბარების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში 1937 წ. საწარმოო პროგრამის საუკეთესოდ შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

1936 სტახანოვური წელი, რომელიც სოციალიზმის განსაკუთრებულ გამარჯვებათა წელი იყო, საბჭოთა საქართველოს მრეწველობამ დიდი მიღწევებით დაამთავრა.

საერთო პროდუქციის მატება 1935 წელთან შედარებით შეადგენს 29,1 პროცენტს.

მრეწველობის წამყვანმა დარგმა—მარგანეცის მრეწველობამ ხუთწლედი შეასრულა ოთხ წელიწადში და წინა წელთან შედარებით მოგვცა 39,8 პროც. მატება.

რკინიგზის ტრანსპორტმა, რომელიც ვიწრო ადგილს წარმოადგენდა სახალხო მეურნეობაში, 1936 წ. გეგმა ვადამდე შეასრულა. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობის საერთო პროდუქციის მატება 1935 წელთან შედარებით შეადგენდა 28,7 პროცენტს. ვადამდე შეასრულა აგრეთვე გეგმა საქართველოს ადგილობრივმა მრეწველობამ და წინა წელთან შედარებით საერთო პროდუქციის 29,8 პროცენტი მატება მოგვცა.

საქართველოს მრეწველობის ცალკე დარგებმა განვლილ წელს აითვისეს წარმოების ახალი სახეები: ფეროშენადნობთა ქარხანამ — მაღალხარისხოვანი ფეროსილიციუმის წარმოება, ორჯონიკიძის სახ. ქარხანამ — მეღვინეობის მანქანები, 26 კომუნარის სახ. ქარხანამ — საფეიქრო მოწყობილობა, ქიმკომბინატმა — პერმანგანატის წარმოება და ა. შ.

საგრძნობი მიღწევებია შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში: შრომის ნაყოფიერების ზრდა ფეროშენადნობთა ქარხანაში წინა წელთან შედარებით შეადგენს 50,7 პროც., ტრესტს „ტყიბულ-ქვანახშირში" — 33 პროც., ბათომის ნავთსახდელ ქარხნებში—45,8 პროც. და ა. შ.

ამ გამარჯვებებს ორდენოსანი საქართველოს მრეწველობის სტახანოველებმა, დამკვრელებმა—პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სსრ კავშირის ხალხთა დიდი ბელადის მშობლიური სტალინის ყოველდღიური მზრუნველობითა და უშუალო დახმარებით, მიაღწიეს შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, აგრეგატების უკეთ გამოყენებისათვის ბრძოლაში. ამ გამარჯვებებს მათ მიაღწიეს ტროცკისტ-ზინოვიეველ-დივერსანტებთან — საერთაშორისო ფაშიზმის საზიზღარ მზვერავებთან ბრძოლაში, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილთა მოკვლის, სოციალისტური საკუთრების დატაცების და მავნებლობის გზით შეეჩერებინათ ჩვენი უძლეველი წინსვლა კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

1937 წელი იქნება მე-2 სტალინური ხუთწლედის გეგმით დასახული გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობის დამთავრების წელი. მე-2 ხუთწლედის გეგმის ძლევამოსილად დამთავრებისათვის, საქართველოს მრეწველობამ ბოლშევიკურად უნდა მოაწყოს მუშაობა. საჭიროა ფართოდ იქნას გამოყენებული გასული წლის მთელი გამოცდილება ფართო სოციალისტური შეჯიბრების მოსაწყობად, მეორე ხუთწლედის გეგმის საუკეთესოდ და გადაჭარბებით შესასრულებლად.

მეორე სტახანოვურ წელს საქართველოს მრეწველობაში არ უნდა დარჩეს არცერთი ჩამორჩენილი საწარმო, არცერთი მუშა, რომელიც ნორმებს არ ასრულებს.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობამ 1937 წელს უნდა მოგვცეს სულ ცოტა 650 ათასი ტონა ქვანახშირი. ეს დიდ და პასუხსაგებ ამოცანას აკისრებს „ტყიბულქვანახშირის" და „ტყვარჩელქვანახშირის" მუშაკებს, რომელთაც 1936 წ. ქვეყანას დააკლეს 150 ათასი ტონა ქვანახშირი. სამთამადნო სამუშაოთა კონცენტრაციასა, მექანიზმების უკეთ გამოყენებასა და სტახანოველებისადმი კონკრეტული და ყოველდღიური დახმარების გაწევაზე გადამწყვეტი კურსის აღებით, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა უნდა მიაღწიონ წლიური გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

მარგანეცის მრეწველობამ — საქართველოს წამყვანმა მრეწველობამ — რომელმაც წარმატებით დაამთავრა ხუთწლედი 4 წელიწადში, 1937 წ. ლავების რიცხვის შემცირებით, მექანიზმების უფრო ეფექტურად გამოყენებით და მაღალხარისხოვანი მადნის გამოშვების გადიდებისა და დაბალხარისხიანის შემცირებისათვის ბრძოლით, უნდა მიაღწიოს გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

„საქნავთის" სარეწაოს მუშაკებმა, რომელთაც წარმატებით დაამთავრეს 1936 წლის გეგმა, უნდა გვიჩვენონ თითო მეტრი გაბურღვის ღირებულების შემდგომი გაიაფებისა და გაბურღვის სიჩქარის გადიდებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის ნიმუშები და მოამზადონ 1937 წ. მირზაანის უბნის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

საქართველოს **კვების მრეწველობამ** წელს უნდა უზრუნველჰყოს ჩვენი ქვეყნის მშრომელების გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საუკეთესო არომატისა და გემოს ჩაით, თამბაქოთი, ღვინოებით, გააუმჯობესოს საკონსერვო ნაწარმთა ხარისხი და გააფართოვოს ასორტიმენტი, იბრძოლოს სანიტარიისა და ჰიგიენის ყველა წესის და დამტკიცებულ რეცეპტურათა ზუსტად დაცვისათვის წარმოებაში.

აბრეშუმის მრეწველობამ 1937 წ. უნდა გვიჩვენოს მუშაობის ბოლშევიკური ნიმუშები გამოსაშვები გრეჟის ხარისხისათვის, უკეთესი რანდემანისათვის, გამძლე და ლამაზი აბრეშუმის ქსოვილის მრავალფეროვანი ასორტიმენტისა და რენტაბელური მუშაობისათვის ბრძოლაში.

საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობამ, რომელმაც 1936 წ. დაალიმიტა საამშენებლო საქმის განვითარება, 1937 წელს სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაფართოების საფუძველზე უნდა მიაღწიოს აგურის გამოწვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, უზრუნველჰყოს ალიზის გარდამავალი მარაგი, გაადიდოს ღუმელების ნაყოფიერება, შეამციროს აგურისა და კრამიტის თვითღირებულება, გამოიმუშაოს 1937 წ. სულ ცოტა 200 ათასი კვ. მეტრი სახურავი ფიქალი.

ფართო მოხმარების საგნების წარმოება საქართველოს ადგილობრივმა და მსუბუქმა მრეწველობამ უნდა გაადიდოს, უზრუნველჰყოს სულ ცოტა 125 მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება 1937 წელს და მიაღწიოს გამოსაშვები პროდუქციის მაღალ ხარისხს.

რკინიგზის ტრანსპორტზე მეორე სტახანოვური წელი უნდა გახდეს სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობის შემდგომი აღმავლობისა და კიდევ უფრო მეტად გაფურჩქვნის წლად. საქართველოს რკინიგზელთა არმიის საბრძოლო ამოცანას 1937 წ. წარმოადგენს ბრძოლა ვაგონების გაცდენის მაქსიმალურად შემცირებისათვის, მატარებლების ცხრილის მიხედვით სვლისათვის, მატარებლების დაგვიანების ლიკვიდაციისათვის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, რემონტის ხარისხის ამაღლებისა და რემონტში მყოფ ორთქლმავლებზე ტექნიკური კონტროლის გაძლიერებისათვის, მარცხისა და ავარიათა სრული ლიკვიდაციისათვის.

1937 წელს საქართველოს მრეწველობის წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა განხორციელება ყველა პარტიული და პროფესიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს ფართო მასების მობილიზაციას სოციალისტური შეჯიბრების ახალი ბოლშევიკური აღმავლობისათვის, მოითხოვს, რომ პირველი დეკადებიდანვე იქნას აღებული მუშაობის ბოლშევიკური ტემპები, რომლებიც თვიდანთვემდე, კვარტალიდან-კვარტალამდე უზრუნველჰყოფენ 1937 წლის საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს, საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს ჩაატარონ 1937 წლის 20 იანვრამდე ყველა საამქროში, ბრიგადაში და საამშენებლო უბნებზე საკითხების განხილვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება ცალკეულ ბრიგადებსა, საამქროებსა, ქარხნებსა და საამშენებლო უბნებს შორის 1937 წ. საწარმოო და საამშენებლო პროგრამის საუკეთესოდ და გადაჭარბებით შესრულებაზე, როგორც რაოდენობრივი, ისე განსაკუთრებით ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს, 1937 წ. საწარმოო პროგრამის საუკეთესოდ და გადაჭარბებით შესრულებისათვის ქარხნების, ფაბრიკების, საამქროებისა და ბრიგადების სოცშეჯიბრების გაშლასთან დაკავშირებით, უზრუნველჰყონ სოცშეჯიბრების მოწყობის მტკიცე ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ყოველ საწარმოს იმ მხრივ, რომ გამოუკლებლივ ყველა მუშა და მოსამსახურე ჩააბან სოციალისტურ შეჯიბრებაში. უახლოეს დღეებში ჩატარდეს პარტიული დღე, რომელიც მიეძღვნება გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში კომუნისტების მოწინავე როლის უზრუნველყოფის საკითხის განხილვას.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ კომკავშირელთა აქტიურ მონაწილეობას წარმოების ტექნიკის საუკეთესოდ ათვისებასა და 1937 წლის საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაზე გაშლილ სოცშეჯიბრებაში. კომკავშირელ მაკარ მაზაის მეთოდების დაუფლება, მაზაის, რომელმაც ფოლადის გადმოღების რეკორდებს მიაღწია, ყოველი კომკავშირელის ღირსებისა და გმირობის საქმედ უნდა გახდეს 1937 წ. სოცშეჯიბრებაში პირველი ადგილის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

4. დაევალოს საქართველოს მსუბუქი, ადგილობრივი, კვების და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარებს იმგვარად გარდაქმნან თავის სამმართველოებისა და ტრესტების მუშაობა, რომ ისინი გახდნენ წარმოების ნამდვილ ტექნიკურ და ორგანიზაციულ შტაბებად და ყოველდღიურ პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ საწარმოებს როგორც საწარმოებსა, საამქროებსა და ბრიგადებს შორის სოცშეჯიბრების მოწყობის საქმეში, ისე შეჯიბრების მონაწილეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა რეალიზაციის საქმეში და უზრუნველჰყონ სოცშეჯიბრების ვალდებულებათა შესრულების სისტემატურად შემოწმება.

5. საქართველოს პროფსაბჭომ უზრუნველჰყოს არა მარტო წარმოებათა ყველა მოწინავე მუშის, არამედ აგრეთვე იმ საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ტრესტების ყველა დანარჩენი მუშაკის ჩაბმა სოცშეჯიბრებაში, რომლებიც თავისი მუშაობით დაკავშირებული არიან მრეწველობისა და ტრანსპორტის მიერ 1937 წ. საწარმოო პროგრამის შესრულებასთან.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილებას, საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს სისტემატურად შეამოწმონ ფაბრიკებსა და ქარხნებს შორის სოცშეჯიბრების ხელშეკრულებათა შესრულების მსვლელობა და შედეგები გამოაქვეყნონ პრესაში.

○

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ყველა სტახანოველი — პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი—1937 წლის საწარმოო პროგრამის საუკეთესო და გადაჭარბებით შესრულებისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხისთვის, გამომუშავების ახალი ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისა, თვითღირებულების შემცირებისა და ნედლეულისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობისთვის გაშლილ სოცშეჯიბრებაში უზრუნველჰყოფს ორდენოსანი საქართველოს მრეწველობისთვის ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ერთერთ პირველ ადგილს.

(საქდესი).

1937 წ. 15 იანვარი.

სრულიად-რუსეთის საბჭოების საგანგებო XVII ყრილობა

15 იანვარს კრემლის დიდ სასახლეში არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით დაიწყო თავისი მუშაობა რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის საბჭოების საგანგებო მე-17 ყრილობამ.

სხდომის დაწყების ერთი-ერთნახევარი საათით უფრო ადრე დელეგატები უკვე თავს იყრიან კრემლის სასახლის უზარმაზარ დარბაზში. ისინი ბევრნი არიან. ისინი ჩამოსულან ბალტიკიდან მოყოლებული წყნარი ოკეანის ნაპირებამდე გადაჭიმული ფედერაციის ყოველ კუთხიდან, ჩამოსულან ჩრდილოეთის შორეული განაპირა კუთხეებიდან და კავკასიის მთებიდან.

ამ დარბაზში დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საბჭოების სრულიად-საკავშირო მე-8 ყრილობის სხდომა მიმდინარეობდა. მისი მაღალი ტრიბუნიდან მთელ საბჭოთა კავშირში, მთელ მსოფლიოში გაისმა დიდი სტალინის ისტორიული მოხსენების სიტყვები.

ყრილობის დელეგატებმა აქ თავის გულით მოიტანეს მგზნებარე, უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება კონსტიტუციის შემოქმედისადმი — ხალხთა ბრძენი და საყვარელი ბელადის, მშობლიური სტალინისადმი.

რუსეთის მრავალმილიონიანმა ფედერაციამ ყრილობაზე გამოგზავნა თავისი საუკეთესო რჩეულნი. დელეგატთა რაოდენობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავთ დიდი რუსეთის ხალხის შვილებს, რომელმაც პირველმა დაიწყო სოციალისტური რევოლუცია, ბრძოლის გზა უჩვენა ძველი რუსეთის ყველა დანარჩენ ეროვნებას.

მრავალი და მრავალი დელეგატი ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის იმ რაიონებიდან, რომლებიც სამეურნეო ჩამორჩენილობის, უკულტურობისა და სიღატაკის კერებს წარმოადგენდნენ. აი მარცხნივ ლენინგრადელთა ახლოს, მოთავსებულა ვორონეჟის ოლქის დელეგაცია. რევოლუციამდე ვორონეჟის გუბერნია იყო ტიპიური რუსული პროვინცია, მშიერი და უცოდინარი. ამ გუბერნიის მოსახლეობა, როგორც საერთოდ იმპერიის სხვა რაიონების მოსახლეობა განიცდიდა უდიდეს გაჭირვებას და გადაშენებას. მაგრამ ყველაფერი ეს შორეულ წარსულს ჩაჰბარდა. ვორონეჟის ყოფილმა გუბერნიამ უკვე დიდი ხანია ბოლო მოუღო ჩამორჩენილობას. იგი ახლა ამზადებს სხვადასხვა მანქანებს, სინთეტიკურ კაუჩუკს, ნაირნაირ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს, იგი გვიჩვენებს ხალხური ნიჭის აყვავებას, რუსეთის მრავალმილიონიანი ხალხის გოლიათურ ენერგიას, მის დაუშრეტელ შემოქმედებით ძალებს. ჩვენი ქვეყნის დანარჩენი რაიონებიც სრულიად სხვა გახდნენ, შეიცვალნენ ისე, რომ ველარ იცნობთ. რსფს რესპუბლიკაში არ მოიპოვება ისეთი კუთხე, რომელიც არ განიცდიდეს სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას, ხალხთა აღორძინებას. დელეგატებმაც ყრილობაზე მოიტანეს პატაკები თავის მხარეთა, ოლქთა და ავტონომიურ რესპუბლიკათა გამარჯვებების შესახებ, პატაკები ადამიანთა, მეურნეობათა ზრდის შესახებ, ახალი მშვენიერი ცხოვრების შესახებ.

რუსების გვერდით სხედან კარელები და უდმურტები, კალმუხები და მორდვინები, ბაშკირები და გერმანელები, თათრები და ჩუვაშები... ისინი მეგობრულ ოჯახად, ლენინურ-სტალინური მეგობრობით შემჭიდროვებულნი, ყოველდღიურად, ყოველ საათობით განამტკიცებენ რუსეთის ფედერაციის ძლიერებასა და დიდებას. იზრდებიან ყველა ეროვნების ადამიანები.

იზრდებიან და მტკიცდებიან ავტონომიური ოლქები და რესპუბლიკები. ამას მკაფიოდ ცხადჰყოფენ ახალ ავტონომიურ რესპუბლიკათა დელეგატები — მარის, კომის, ყაბარდო-ბალყარეთის, საჩაჩნო-ინგუშეთის, ჩრდილო-ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკათა დელეგატები, რომლებიც ავიდნენ სახელმწიფო განვითარების ახალ საფეხურზე. ასე ძლევამოსილად მიდის წინ მთელი ჩვენი ქვეყანა, ასე იზრდება მთელი რსფს რესპუბლიკა — დიადი საბჭოთა კავშირის წამყვანი მოკავშირე რესპუბლიკა.

18 საათისათვის კრემლის სასახლის დიდი დარბაზი უკვე სავსეა. მხარეთა, ოლქთა და ავტონომიურ რესპუბლიკათა დელეგატების გარდა ესწრებიან მრავალი ასობით სტუმრები — მოსკოვის ქარხნების მუშები. ლოჟებში არიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელნი, საბჭოთა და უცხოეთის პრესის მრავალრიცხოვანი კორესპონდენტები.

ტრიბუნაზე გამოჩნდებიან ამხანაგები: **სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, ჟდანოვი, სულიმოვი, პეტროვსკი, ხრუშჩოვი, კისელიოვი.**

ლაპარაკის გუგუნს დარბაზში უცაბედად სცვლის მქუხარე ტაში. ყრილობა აღფრთოვანებით მიესალმება პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. ყველას ყურადღება მიპყრობილია იმისაკენ, ვისი მეთაურობითაც გაიმარჯვა ლენინის საქმემ, იმისაკენ, ვინც შექმნა სოციალიზმის დიადი ქარტია — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — ამხანაგ სტალინისაკენ. დიდ ხანს გრიალებს ოვაცია ბელადისა და მასწავლებლის მიმართ. ყოველ მხრიდან გაისმის ძახილი: **„ვაშა სტალინს", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!"**

ჩამოვარდა სიჩუმე. მოკლე შესავალ სიტყვას ამბობს მიხეილ ივანეს-ძე კალინინი. იგი ლაპარაკობს საბჭოთა ქვეყნის წარმატებებზე, და ყრილობა მხურვალედ მიესალმება საკ. კ.პ. (ბ) ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს.

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით ამხ. კალინინი სრულიად-რუსეთის საბჭოების საგანგებო მე-17 ყრილობას გახსნილად აცხადებს.

სიტყვა ეძლევა შორეულ-აღმოსავლეთის სამხარეო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. კრუტოვს. მთელი რიგი დელეგაციების სახელით მას წინადადება შემოაქვს პრეზიდიუმი არჩეულ იქნას 55 კაცის შემადგენლობით.

პრეზიდიუმს ერთხმად ირჩევენ მქუხარე ტაშის გრიალში. ტაში ოვაციად იქცევა, როდესაც ამხ. კრუტოვი ასახელებს ამხ. ანდრეევს, ბუდიონის, ვოროშილოვს, ეჟოვს, ჟდანოვს, კაგანოვიჩს, კალინინს, მოლოტოვს, ორჯონიკიძეს, სულიმოვს, ხრუშჩოვს.

— **სტალინი!**—აცხადებს ამხ. კრუტოვი.

უდიდესი ძლიერებით იფეთქებს მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია, **„ვაშა!" „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!"** მრავალი წუთის განმავლობაში გრიალებს მისალმების შეძახილები და მგზნებარე ოვაცია ხალხთა დიდი ბელადის, ახალი კონსტიტუციის შემოქმედის ამხანაგ სტალინის მიმართ.

პრეზიდიუმის წევრები ტრიბუნაზე ადიან და ხელს ართმევენ ამხანაგ სტალინს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

ვორონეჟის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ორლოვს მთელი რიგი დელეგაციების სახელით წინადადება შემოაქვს არჩეულ იქნას სამანდატო კომისია 9 კაცის შემადგენლობით.

კომისიის შემადგენლობას ერთხმად იღებენ. კომისიის თავმჯდომარედ ამტკიცებენ ამხ. შკირიატოვს.

ამტკიცებენ აგრეთვე ყრილობის დღის წესრიგს და რეგლამენტს.

შემდეგ ამხ. სულიმოვი რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს. ყრილობა ამხ. კალინინს ეგებება მქუხარე ოვაციით და „ვაშას" ძახილით.

ყრილობა ერთნახევარ საათიან მოხსენებას ისმენს ღრმა, დაძაბული ყურადღებით და ორატორს დროგამოშვებით აწყვეტინებს სიტყვას მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით.

მოხსენების დამთავრების შემდეგ ამხ. სულიმოვი სხდომას სწყვეტს 16 იანვრის დილის 11 საათამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სფს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ

ამხანაგ მ. ი. კალინინის მოხსენება სრულიად-რუსეთის საბჭოების საგანგებო XVII ყრილობაზე

ამხანაგებო, რუსეთის სფს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი შემუშავებულია საკონსტიტუციო კომისიის მიერ, რომელიც სრულიად-რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა აირჩია 1936 წლის 27 ივნისს, და მოწონებულია წარსადგენად 1936 წლის 23 დეკემბერს სრულიად-რუსეთის საბჭოების საგანგებო მე-17 ყრილობის განსახილველად.

რუსეთის სფს რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ჩვენს ყრილობებზე კონსტიტუციები ორჯერ იქნა განხილული და მიღებული.

რსფს რესპუბლიკის პირველ კონსტიტუცია მიიღო საბჭოების სრულიად-რუსეთის მე-5 ყრილობამ 1918 წლის ივლისში, ამ კონსტიტუციაში, როგორც შესავალი ნაწილი, შეტანილ იქნა „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია", მიღებული სრულიად-რუსეთის საბჭოების მე-3-ე ყრილობის მიერ 1918 წლის იანვარში.

საბჭოთა პირველმა კონსტიტუციამ გააფორმა და განამტკიცა საფუძვლები საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად წარმოიშვა. მან ჩამოაყალიბა ძირითადი ამოცანები შემდგომი ბრძოლისა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციისათვის, ისეთი საზოგადოებისა, რომელშიც არ უნდა იყოს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და საზოგადოების დაყოფა კლასებად.

1918 წლის კონსტიტუციის საფუძველზე მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურეს ბურჟუაზიული კონტრრევოლუცია. მოიგერიეს უცხოელ ინტერვენტთა თავდასხმა და მოამზადეს პირობები ერთიანი, მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შესაქმნელად. (ხანგრძლივი ტაში).

მეორე კონსტიტუცია მიღებულ იქნა სრულიად-რუსეთის საბჭოების მე-12 ყრილობის მიერ 1925 წლის მაისში. მას შემდეგ, რაც 1922 წელს შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და 1924 წელს მიღებულ იქნა სსრ კავშირის კონსტიტუცია, საჭირო იყო რუსეთის სფს რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის გადამუშავება სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად.

1918 წლის კონსტიტუციის ტექსტის შეცვლის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმითაც, რომ მასში შეტანილი იყო მთელი რიგი მუხლები, რომლებიც ასახავდნენ ბრძოლის ისტორიულად განვლილ ეტაპს, მაგალითად, მიწის სოციალიზაცია, მუშათა კონტროლი ფაბრიკებსა და ქარხნებზე, ჯარების გამოყვანა ირანიდან, სომხეთის თვითგამორკვევა და ა. შ. ყოველივე ეს მნიშვნელოვანი იყო 1918 წლისათვის, მაგრამ 1925 წელს მხოლოდ ისტორიულ ფაქტს წარმოადგენდა.

მას შემდეგ 11 წელზე მეტმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში, სრულიად-რუსეთის საბჭოების ყრილობებმა არაერთხელ შესცვალეს და შეავსეს რუსეთის სფს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუცია. მაგალითად, შემოღებული იყო რუსეთის სფს რესპუბლიკის ახალი ადმინისტრატიულ-ტერიტორიული დაყოფა, იქმნებოდნენ რსფსრ ახალი სახალხო კომისარიატები და ხდებოდა არსებულ სახალხო კომისარიატთა გარდაქმნა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ტარდებოდა სხვა ორგანიზაციული ღონისძიებანი.

რუსეთის სფს რესპუბლიკის ყველა ეს ცვლილება და დამატებანი წარმოადგენდნენ ჩვენი ეკონომიკის პროგრესის ასახვას, ხოლო ამასთან შეფარდებით ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი სტრუქტურისა და ნაციონალურ ურთიერთობათა ცვლილებების ასახვას.

მე დაწვრილებით არ შევჩერდები იმ უდიდეს ცვლილებებზე, რაც საბჭოთა ქვეყანაში მოხდა. ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე ამომწურავი სისრულით გააშუქა ისინი. ბრწყინვალე დიალექტიკოსმა, მან ისეთი ანალიზი გაუკეთა მათ, რომელსაც ძნელია რაიმე დავუმატოთ — ერთი რამ შეიძლება ითქვას: ჩვენს ქვეყანაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ძვრები საშუალებას გვაძლევენ განსაკუთრებულ დემოკრატიულ საფუძვლებზე ავაგოთ სახელმწიფო მმართველობის ახალი ფორმა.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1909 წელს სწერდა:

„კონსტიტუციის რაობა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს ძირითადი კანონები საერთოდ და კანონები, რომლებიც შეეხებიან საწარმომადგენლო დაწესებულებებში საარჩევნო უფლებას, მათ კომპეტენციას და სხვ., გამოხატავენ კლასობრივ ბრძოლაში ძალთა ნამდვილ განწყობილებას. კონსტიტუცია ფიქტიურია, როცა კანონი და სინამდვილე ერთმანეთს შორდება: არაფიქტიურია, როცა ისინი ერთმანეთს ეთანხმებიან". (ლენინი, ტ. XIV, გვ. 18.).

როგორც ცნობილია, საბჭოთა კონსტიტუცია და საბჭოთა სინამდვილე ერთმანეთს ეთანხმება. სსრ კავშირის კონსტიტუცია, მიღებული საბჭოების-სრულიად საკავშირო-საგანგებო მე-8 ყრილობის მიერ, როგორც სარკეში, ისე ასახავს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებას, რაც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით არის შექმნილი და მოპოვებული (მქუხარე ტაში). სწორედ ამიტომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის ხალხის მასებმა თავის ახალ კონსტიტუციას უწოდეს მისი შემოქმედის სახელი — სტალინური კონსტიტუცია (ხანგრძლივი ტაში). ამ სახელწოდებით შევა იგი მსოფლიო ისტორიაში.

მუშათა კლასის მრავალრიცხოვან მტრებთან დაუნდობელ ბრძოლაში ამხანაგმა სტალინმა დარაზმა პარტია, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი და მშრომელი მასები სოციალიზმის დასაპყრობად. მისი ხელმძღვანელობით ჩვენ მოვახდინეთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოციალისტურ საფუძველზე გარდავქმენით სოფლის მეურნეობა, მოვახდინეთ კაპიტალიზმის ლიკვიდაცია მრეწველობასა, სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაში, მოვსპეთ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, დავამკვიდრეთ რა სოციალიზმი, როგორც საბჭოთა კავშირის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ურყევი საფუძველი. (ტაში).

სტალინური კონსტიტუცია არის გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია. (ტაში).

დიადი შედეგები

ამხანაგებო, რსფსრ კონსტიტუციის პროექტი შემუშავებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად.

პირველი თავი მთლიანად აღებულია საკავშირო კონსტიტუციიდან. მასში ლაპარაკია საზოგადოებრივ წყობილების შესახებ. პირველი ოთხი მუხლი განსაზღვრავს რესპუბლიკის პოლიტიკურ და ეკონომიურ საფუძველს. ამ თავის დანარჩენი მუხლები აწესებენ სოციალისტური და პირადი საკუთრების ფორმებს, რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების მიმართულებასა და შრომის პრინციპებს. ზედმიწევნით სხარტ მუხლებში საზოგადოებრივი წყობილების შესახებ ჩაწერილია პროლეტარული რევოლუციონერების მრავალ თაობათა დრამატიზმით ალსავსე ბრძოლის დიადი შედეგები.

თითქმის 90 წლის წინათ კარლ მარქსმა კომუნისტურ მანიფესტში გამოაცხადა: აუცილებელია საზოგადოებრივი წყობილების აგება სოციალისტურ საფუძვლებზეო. ეს 90 წელი გაჟღენთილია მუშათა კლასის ბრძოლით თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ. გაიხსენეთ ჩარტისტთა მოძრაობა ინგლისში, პარიზის კომუნა საფრანგეთში, მკაცრი კლასობრივი შეტაკებანი სხვა ქვეყნებში, 1905 წლის რევოლუცია რუსეთში. ბრძოლა მძიმე იყო. მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატმა შესძლო მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების სრული განადგურებით დაეგვირგვინებინა თავისი მრავალი წლის მძიმე ბრძოლა და შეექმნა მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველი საბჭოთა სახელმწიფო. (ტაში).

სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები. ადვილი წარმოსადგენია, თუ სიმპატიის რა ღრმა გრძნობას იწვევენ ისინი არა მარტო სსრ კავშირის მუშებსა და გლეხებში, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელებშიც. ეს ხომ ხელისუფლების ის ორგანოებია, რომლებიც მუშებმა რევოლუციური ბრძოლის მსვლელობაში შექმნეს და რომლის დახმარებითაც ჩვენი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა, დაამხეს რუსეთში ცარიზმისა, მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი ევროპის სხვა დიდი ქვეყნების პროლეტარიატზე უფრო გვიან გამოვიდა სოციალიზმის იდეალებისათვის ბრძოლის ისტორიულ ასპარეზზე, — მაგრამ მისი გზა აღნიშნულია მკაცრი ბრძოლებით, მოფენილია მის საუკეთესო შვილთა მსხვერპლით. ეს არის პროლეტარული გმირობის გზა. ჯერ კიდევ არიან იმ თაობის ცოცხალი წარმომადგენლები, როცა მუშათა კლასის ორგანიზაცია, ის იყო ისახებოდა და როცა ჩვენი კომუნისტური პარტია მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იყო. და აი დღეს, ჩვენ ვხილავთ მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციას, ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციას ოდესმე არსებული ან ამჟამად არსებული ყველა კონსტიტუციიდან, გარდა სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციისა, რომლის ნამდვილი შვილია რუსეთის სფს რესპუბლიკის კონსტიტუცია. (ტაში).

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურ საფუძველს შეადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, რაც გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

სულ უძველესი დროიდან აქამომდე კაცობრიობის საუკეთესო ადამიანები ეძებდნენ მეურნეობის ორგანიზაციის იმ იდეალურ ფორმებს, რომლებიც შეუძლებელს გახდიდნენ მშრომელთა დამონებასა და ექსპლოატაციას.

ჩვენ ვიპოვეთ ეს იდეალური ფორმები და ისტორიაში პირველად დაუდევით ისინი საფუძვლად ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას.

კომუნისტურ მანიფესტში მარქსი და ენგელსი სწერდნენ, რომ „კომუნისტებს შეუძლიათ გამოსთქვან თავიანთი თეორია ერთი დებულებით: კერძო საკუთრების მოსპობა". მარქსიზმის ეს უმნიშვნელოვანესი დებულება ჩვენს კონსტიტუციაში ფიქსირდება როგორც მომხდარი ფაქტი.

ახლა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, მუშებსა და მშრომელთა ფართო ფენებს ესმით მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. ხოლო შედარებით ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ეს მხოლოდ მცირერიცხოვან მოწინავე ადამიანებს ესმოდათ.

კაპიტალისტური სამყაროს ბატონ-პატრონნი, აგრეთვე მათი მსახურნი საერთაშორისო ოპორტუნიზმის ბანაკიდან ყოველივე საშუალებებს ხმარობენ, რათა შეაფერხონ სოციალიზმის განვითარება. ისინი შეგნებულად ამახინჯებენ სოციალიზმის ცნებას, ცდილობენ დაუმალონ თავიანთ ქვეყნების მუშებს საბჭოთა კავშირის მსოფლიო ისტორიული გამარჯვებანი. სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი იყენებენ უკლებლივ ყოველგვარ საშუალებას: ატყუებენ თავიანთ ხალხებს, ცილსა სწამებენ საბჭოთა კავშირს, მკაცრი ტერორის გზით სდევნიან კომუნისტური პარტიების მიმდევრებს. აბა როგორ არ უნდა სდევნონ, როდესაც მსოფლიოში არსებობს სოციალისტური სახელმწიფო, სადაც მუშებმა არა მარტო მოსპეს საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება, არამედ, ხალხის სიტყვებით რომ ვთქვათ, შექმნეს კიდეც ყველა მშრომელის ბედნიერი ცხოვრება. ეს ცხოვრება გამოიხატება არა მარტო იმ მატერიალური და კულტურული ღონისძიებებით, რაც უქონელთა კლასმა მოიპოვა, არამედ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ინტერესთა ჰარმონიით, მათი იდეალური მისწრაფებით იმ ერთი მიზნისაკენ, რომელზედაც მიგვითითებს კომუნისტური პარტია — კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ. თვითეული ადამიანი, დაწყებული უბრალო მუშით თვით გამოჩენილ მეცნიერამდე — გაიზარდა თავის საკუთარ შეგნებაში, მან შეიცნო, რომ მისი მუშაობა მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ხალხისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მუშათა კლასს ამაყად შეუძლია უთხრას მთელს მსოფლიოს: „შემომხედეთ, პროლეტარული რევოლუციის შედეგად მე ბევრ რასმეს მივაღწიე, ჩემი ცხოვრება უზრუნველყოფილია და კულტურული ხდება, და ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობა. აი ამიტომ არის ესოდენ საყვარელი ჩვენი სამშობლო, აი ამიტომ ვიბრძოლებთ ჩვენ თავდადებით მისი საზღვრების მთლიანობისა და ხელუხლებლობისათვის (ტაში).

კონსტიტუციამ მე-8 მუხლში ჩაწერა, როგორც ურყევი კანონი: „მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უჭირავთ, ემაგრება მათ უფასო და უვადო სარგებლობისთვის, ესე იგი სამუდამოდ".

რა ცოტა სიტყვები და რა დიდი შინაარსი! ყველასათვის ცნობილია, რომ გლეხთა ბრძოლას მიწისათვის ყველაზე დიდი ხნის ისტორია აქვს. აიღეთ დასავლეთ ევროპის გლეხთა ომების ისტორია, გლეხთა ომები ჩვენში, რუსეთში: ბოლოტნიკოვის, სტეფანე რაზინის, პუგაჩოვის აჯანყება და მთელი რიგი სხვა ურიცხვი დიდი და პატარა აჯანყებანი შემდგომ საუკუნეებში, — და თქვენ დაინახავთ, რომ ყველგან და ყოველთვის ამ ბრძოლის მიზანი იყო მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება გლეხების მიერ და მემამულურ-თავადაზნაურული ჩაგვრისაგან განთავისუფლება.

ამ ბრძოლის ჰეროიკას უმღერენ ხალხურ სიმღერებში, იგი ასახულია ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაშიც. ამ ბრძოლის შეუპოვრობაზე გველაპარაკებიან „ოხრანკებისა" და საპოლიციო დაწესებულებათა არქივებიც.

მაგრამ თავადაზნაურობას და მემამულურ - კონტრრევოლუციურ ფენებს თვით 1905 წლის რევოლუციამდე ეგონათ, ანდა თავს ისე გვაჩვენებდნენ, რომ ასე ეგონათ, — გლეხობა ჩვენთან იქნება, რევოლუციის წინააღმდეგო. პროლეტარული რევოლუციის ყველა მტერი დაწყებული ბურჟუაზიით და გათავებული მენშევიკებითა და ტროცკისტებით, დარწმუნებული იყვნენ, რომ ბოლშევიკები კისერს წაიტეხდნენ სოფელზე. მთელი საერთაშორისო კონტრრევოლუცია იმედით შეჰყურებდა სოფელს. და აი ლენინურმა პოლიტიკამ, რომელსაც პარტია სტალინის ხელმძღვანელობით ატარებდა, გადააყირავა ეს იმედები. სავსებით გამართლდა პარტიის შეხედულებები, რომ გლეხობა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მისი საიმედო მოკავშირე იქნება კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში. ხოლო ახლა სტალინურმა პოლიტიკამ გლეხობა გახადა მუშათა კლასის თანამხანაგი მის ბრძოლაში საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის, გახადა კომუნიზმის თანასწორუფლებიანი მშენებელი. ეს ჩვენი პარტიისა და პროლეტარული რევოლუციის ერთერთი ყველაზე დიდი გამარჯვებაა. ახალმა თაობამ არ იცის, თუ როგორი იყო გლეხობის ცხოვრება წარსულში, დაახლოვებით 30—40 წლის წინათ. ამავე დროს იმის წარმოდგენა, თუ როგორი იყო განვლილი გზა, შეიძლება მხოლოდ წარსული ცხოვრების შედარებით ახლანდელ ცხოვრებასთან.

აი მე ხელთა მაქვს ერთი საინტერესო დოკუმენტი — ტულის გუბერნატორის 1905 წლის 22 აპრილის საიდუმლო მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე.

მე თქვენ მას წაგიკითხავთ:

„დამატებით ჩემი ა.-წ. 22 აპრილის № 156 წარდგენისა, ბოგოროდიცკიდან დაბრუნებული ვიცე - გუბერნატორის პირადი მოხსენებისა და ბოგოროდიცკის მაზრის ისპრავნიკის პატაკის თანახმად მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას იმ ხანძრების დაწვრილებით ამბებს, რომლებიც გლეხებმა გრაფ ბობრინსკების ხუტორებს გაუჩინეს.



ბოგოროდიცკის მაზრის ისპრავნიკი, რომელმაც 20 აპრილს საღამოს 11 საათზე გრაფ ბობრინსკისაგან მიიღო ცნობა, რომ სოფელ ქდანკის ხუტორში გლეხებმა ხანძარი გააჩინეს, გაემგზავრა ხუტორში, სადაც ნახა ცეცხლის ალში გახვეული თავის ზვინი. ზვინს გარს შემორტყმოდნენ გლეხები და ხანძრის ჩასაქრობად არავითარ ზომებს არ ღებულობდნენ. გამოუძახა რა სოფლის მამასახლისს, ისპრავნიკმა მოითხოვა დაუყოვნებლივ ჩაექროთ ცეცხლი. მისმა ამ ბრძანებამ გლეხებში გამოიწვია მტრული შეძახილები: „როგორ, გვიბრძანებთ ცოცხალი ადამიანები ცეცხლში შევცვივდეთ?".

შემდეგ ისინი ძლივს დაიყოლია რამდენიმე გლეხის რჩევამ და შეუდგნენ ცეცხლის ქრობას, თუმცა ხალხში გაისმა დაცინვითი შეძახილი: „ჩექმები დაგეწვება!", „იქნებ, გგონია, გრაფმა მოგცეს რამე?". „არა უშავს, მას ბევრი მიწა აქვს — აიტანს". შემდეგ ისპრავნიკს გარს შემოეხვივნენ გლეხები, მათ უკმაყოფილება გამოსთქვეს, რომ საკვებად არ მისცეს ჭვავი, ხოლო სათესლედ შვრია. ამასთანავე ჩიოდნენ, რომ მათ საკმაო არა აქვთ მიწა. აგრეთვე მტრული შეძახილები გაისმოდა გრაფის მიმართ, იგი მიწაში დიდ საიჯარო გადასახადს მოითხოვსო. ისპრავნიკმა მათ განუცხადა: ახლა ხანძრის დროს, უადგილოა პრეტენზიების გამოთქმა, ამისთვის საჭიროა ჩამოხვიდეთ ქალაქში და მოელაპარაკოთ, როგორც ადგილობრივ საეროებს უფროსს, ისე გრაფსაც. ხალხმა ყვირილი დაიწყო: „გიცნობთ, რაც შვილები ხართ: ჩამოვალთ ქალაქში — და თქვენ იქ ციხეში ჩაგვსვამთო". ცეცხლი თითქმის უკვე ჩაქრობილი იყო, როცა ბოგოროდიცკის შაქრის ქარხნიდან ქდანკის ხუტორში ტელეფონით დარეკეს, ქარხანას ხანძარი გაუჩნდაო. ამ ცნობის მიღებისთანავე ისპრავნიკმა ხუტორში დასტოვა ბოქაული, ხოლო თვითონ გრაფთან ერთად გაემგზავრა ქარხანაში. იქ იწოდა ქარხნის მახლობლად დაზვინული ჩალა...

ცეცხლი არც კი იყო ჩაქრობილი, რომ ქდანკის ხუტორიდან ქარხანაში ტელეფონით აცნობეს: ხუტორიდან ისპრავნიკის წასვლის შემდეგ გლეხებმა კვლავ ასტეხეს აყალმაყალი, ცეცხლი წაუკიდეს მეორე ზვინს და დაწვას უპირებენ ბეღელსო. მაშინ იგი გრაფ ბობრინსკისთან ერთად გაემგზავრა სამხედრო უფროსთან, წამოიყვანა 9 შეიარაღებული ჯარისკაცი, საქმისმწარმოებელ — ოფიცრის მეთაურობით და, ამას გარდა, 5 პოლიციელი.

ხუტორში მისვლისას ისპრავნიკმა დაინახა, რომ მეორე ზვინი უკვე იწვოდა, ხოლო ბეღელს თუმცა ზვინიდან ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული, მაგრამ ცეცხლი ჩააქრეს მუშებმა, რომლებმაც დროზე მოუსწრეს.

ადგილზევე მოწმეების — გრაფ ბობრინსკის მოსამსახურეთა გამოკითხვიდან გამოირკვა, რომ ხუტორიდან ისპრავნიკისა და გრაფის წასვლის შემდეგ, როცა ზვინის ხანძრის ჩაქრობის შედეგად მიდამო სიბნელემ მოიცვა, გლეხებმა კვლავ ასტეხეს აყალმაყალი: ისინი დასცინოდნენ ბოქაულს, აიძულებდნენ მას ფიწლით ხელში ზვინზე ასულიყო, ემუქრებოდნენ მას თავის მოკვეთით, აგინებდნენ გრაფს და იმუქრებოდნენ, რომ მას გაუსწორდებოდნენ.

იქ იმყოფებოდა ქ. ეფრემოვის მღვდელი, კნიაზევი, რომელიც ურჩევდა გლეხებს გონს მოსულიყვნენ. გლეხებმა მასაც დაუწყეს დაცინვა და ცეცხლში ჩაგდებით ემუქრებოდნენ. პირველი ზვინი ჯერ კიდევ იწვოდა, როცა რამდენიმე გლეხი ეცა მეორე ზვინს და ცეცხლი წაუკიდა მას; რამოდენიმე წუთის შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს ჩალის ბეღლის შიგნით...

ჯერჯერობით გამორკვეულია, რომ აღნიშნული არეულობის წამქეზებელი და მთავარი მონაწილე იყო 6 ადგილობრივი გლეხი, რომლებიც ღამით სამხედრო ნაწილებისა და პოლიციელთა დახმარებით დაპატიმრებულნი არიან. დილით ისპრავნიკმა მოიწვია სოფლის ყრილობა და განუმარტა გლეხებს მათი მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი, ამასთან გააფრთხილა, რომ უწესოების განმეორების შემთხვევაში, კანონის პასუხისგებაში მიცემის [illegible] იქნება, მას შემდეგ, რაც ადგილზე ჩავიდა ვიცე-გუბერნატორი, მოწმეების ჩვენებების თანახმად, დაპატიმრებულ იქნა სოფელ ქდანკის კიდევ სამი გლეხი.

ამჟამად ამ სოფლის გლეხები დამშვიდდნენ, მაგრამ ყაზახთა ყოფნა ამ ადგილას აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს"...

შეიძლებოდა მრავალი, კიდევ უფრო მკვეთრი მაგალითები მოგვეყვანა წარსულიდან, როცა ადამიანებს ჩააუყენებდნენ ხოლმე ეგზეკუციას, აპატიმრებდნენ, ხვრეტდნენ და სხვ. მე მოგიყვანეთ დოკუმენტი ერთი ყველაზე უფრო ტიპიური შემთხვევისა, სადაც ვხვდებით მეფის რუსეთის ყველა მოქმედ რეაქციულ ძალას, ხუცესის ჩათვლითაც კი. მე მოგიყვანეთ ისეთი ფაქტი, რომლის მსგავსი ათასობით იყო. იგი შეეხება იმ გუბერნიას, რომელშიაც გლეხებს ძარცვავდნენ და ექსპლოატაციას უწევდნენ არანაკლებ, ვიდრე დანარჩენ გუბერნიებში, ამასთან ესაა მაგალითი წმინდა რუსული გუბერნიისა, სადაც დიდი იყო მუშათა და შინამრეწველთა ფენა, რომელთა ბრძოლაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, უფრო ორგანიზებული იყო.

და აი ასეთ გუბერნიებშიც კი, გლეხებს შორის საშინელი სიბნელე იყო. გახურებული მუშაობის: თიბვის, მკის, ლეწვის, ხვნის დროის უდიდეს ნაწილს გლეხები მემამულესთან მუშაობდნენ უმთავრესად იჯარით აღებული საძოვრებისა, საბალახოთა საფასურად. და მიუხედავად ამისა, ტიტულიარნი უსაქმურები, ექსპლოატატორები ფიქრობდნენ, გლეხები ჩვენ დაგვიჭერენ მხარს, ისინი მუშების წინააღმდეგ წავლენო.

ლენინი გლეხობაში ხედავდა რევოლუციური ენერგიის უდიდეს რეზერვუარს და მან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ გლეხთა ენერგია გაეერთიანებინა მუშების ენერგიასთან.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ ლენინურ პოლიტიკას ანხორციელებს ლენინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი სტალინი (ტაში), რომელმაც არა მხოლოდ თეორიულად დაასაბუთა, არამედ პრაქტიკულადაც განახორციელა ერთპიროვნული დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობის გადაყვანა კოლმეურნეობებზე, ესე იგი, სოციალიზმის რელსებზე. ახლა ჩვენ მოვიმკით მისი დიადი მოღვაწეობის ნაყოფს.

ამხანაგებო, თვალი გადაავლეთ ჩვენი ქვეყნის წარსულს. გადახედეთ გლეხთა მინდვრებს. რუსეთის ერთ მცირე ნაწილზე თქვენ წარმოგიდგებათ უწესრიგოდ მიმოფანტული სოფლები, უმეტეს ნაწილად კი — ხარიეზიანობა, სადაც ყოველ ორ საჟენზე სხვა პურია, სხვა დამუშავებაა, ყოველი ხარიეზი განცალკევებულია სარეველა ბალახის გამავრცელებელი მიჯნით, სადაც არა თუ ტრაქტორით, არამედ ცხენის სახნისითაც ვერ მოტრიალდები. ასეთ პირობებში ერთი დესეტინაზე ორმოცი ფუთი კარგ მოსავლად ითვლებოდა და აი, ასეთი მინდვრები აქციო კულტურულ მინდვრებად, შეიტანე თანამედროვე ტექნიკა: ტრაქტორი, კომბაინი, ორთქლის სალეწი და უთვალავი რაოდენობის რთული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი — თითქოს განუხორციელებელი ამოცანაა. მაგრამ იგი გადასწყვიტა კომუნისტურმა პარტიამ, იგი გადასწყვიტა ამ პარტიის ბელადმა ამხანაგმა სტალინმა (ტაში), ვინაიდან იგი არის სულისჩამდგმელი, ინიციატორი და განმახორციელებელი ამ უდიდესი მუშაობისა, რაც ძალუძს მხოლოდ აზროვნების, შეუპოვრობისა და სიმტკიცის გიგანტს, რაც ძალუძს მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელიც შორს იხედება წინ. (ტაში).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ არსად მსოფლიოში გლეხთა მასების წინაშე არ იშლება ისეთი ფართო პერსპექტივები, როგორც საბჭოთა კავშირის კოლმეურნეთა წინაშე. პროლეტარული რევოლუციის შედეგად რსფს რესპუბლიკის გლეხებმა მიიღეს 100 მილიონზე მეტი ჰექტარი მემამულეთა და ეკლესიის მიწა. საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მიწებს ამუშავებს 222.600 ტრაქტორი, მხოლოდ კოლმეურნეობებში მოიპოვება 38.641 კომბაინი. მინდვრების უზრუნველყოფა თანამედროვე სასოფლო - სამეურნეო იარაღებით ზოგადი, აგრონომიული და ტექნიკური კულტურის ზრდა, ხელოვნურ სასუქთა მატება, მთავრობის დიდი ასიგნობანი აგრო-სამელიორაციო ღონისძიებებისათვის საგამოკვლეო ინსტიტუტთა მზარდი [illegible]ბებთან მათი კავშირის ზრდასთან ერთად, და ბოლოს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გასაღების განუსაზღვრელი ბაზარი და სხვა — აი ის პირობები, რომლებშიაც იმყოფება საბჭოთა კავშირის გლეხობა.

მხოლოდ სოციალიზმს შეეძლო შეექმნა ასეთი პირობები და მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია კოლმეურნე გლეხები მართლაც თანასწორ პირობებში ჩააყენოს მუშებთან, ქალაქის მოსახლეობასთან.

ჩვენი მშვენიერი სამშობლო

კონსტიტუცია დღევანდელ სინამდვილეს საკანონმდებლო ფორმით მოსავს.

მეორე კარი განსაზღვრავს სახელმწიფო წყობილებას და აწესებს ხელისუფლების უზენაეს ორგანოთა და მმართველობის ორგანოთა უფლებებს.

რსფს რესპუბლიკის საზღვრებში, რომელიც სსრ კავშირის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, შედის 24 მხარე და ოლქი, 17 ავტონომიური რესპუბლიკა, 6 ნაციონალური ოლქი და 9 ნაციონალური ოკრუგი.

მოკავშირე რესპუბლიკათა შორის — ჩვენი ქვეყანა ტერიტორიით ყველაზე უფრო ვრცელია, პირველია მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, ყველაზე უფრო მრავალეროვანია თავისი შემადგენლობით. ბუნებრივია, რომ იგი ყველაზე უფრო მრავალფეროვანია თავისი ეკონომიკით, კულტურითა და ყოფაცხოვრებით. მაშასადამე სახელმწიფო ორგანოები ისეთი მოქნილი უნდა იყვნენ, რომ, დაემყარებიან რა თავის მუშაობაში მასების აქტიურ მონაწილეობას, შეძლებისამებრ უკეთეს მომსახურეობას გაუწევენ მშრომელთ, რათა ყველა ეროვნების მოსახლეობა ორგანიულად ითვისებდეს ხელისუფლებას, როგორც თავის ხალხურ ხელისუფლებას.

ამხანაგებო, ჩვენი რესპუბლიკა მრავალეროვანია. ამასთან ერთად იგი რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკაა, ესე იგი, ატარებს რუსი ხალხის სახელწოდებას, რომლის უდიდეს უმრავლესობასაც იგი წარმოადგენს.

რუსმა ხალხმა თავის წრიდან წამოაყენა მრავალი ადამიანი, რომლებმაც თავისი ნიჭით აამაღლეს მსოფლიო კულტურის დონე. საკმარისია მოვაგონოთ ისეთი სახელები, როგორიც არიან ლომონოსოვი, პუშკინი, ბელინსკი, დობროლიუბოვი, ჩერნიშევსკი, ნეკრასოვი, შჩედრინი, ჩეხოვი, ტოლსტოი, გორკი, სურიკოვი, რეპინი, გლინკა, ჩაიკოვსკი, რიმსკი - კორსაკოვი, მენდელეევი, ტიმირიაზევი, პავლოვი, მიჩურინი, ციოლკოვსკი. არაფერს ვიტყვით რუსული თეატრის უდიდეს მოღვაწეებზე, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს საზოგადოდ თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე. ყველაფერი ეს ლაპარაკობს რუსი ხალხის როლზე მსოფლიო კულტურის განვითარებაში.

უპასუხებდა რა ბურჟუაზიულ მჯღაბნელებს, რომლებიც პირმოთნეობით უმღეროდნენ „სამშობლოს" თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ლენინი სწერდა:

„განა ჩვენთვის, ველიკორუს შეგნებულ პროლეტარებისათვის, უცხოა ნაციონალური სიამაყის გრძნობა? რასაკვირველია, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე უფრო იმაზე ვმუშაობთ, რათა მისი მშრომელი მასები (ე. ი. მისი მოსახლეობის 9/10) ავამაღლოთ დემოკრატთა და სოციალისტთა შეგნებულ ცხოვრებამდე. ჩვენთვის ყველაზე უფრო სამწუხაროა ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალდატანებას, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათებისა, თავად-აზნაურებისა და კაპიტალისტებისაგან. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ამ ძალდატანებამ წინააღმდეგობა გამოიწვია ჩვენს წრეში, ველიკოროსთა წრეში, რომ ამ წრემ წამოაყენა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იან წლების რევოლუციონერ - რაზნოჩინცები, რომ ველიკორუსულმა მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების მძლავრი რევოლუციური პარტია, რომ ამავე დროს ველიკორუსი მუჟიკი დემოკრატი ხდება და დაიწყო ხუცესისა და მემამულის დამხობა" (ლენინი. „ველიკოროსთა ნაციონალური სიამაყის შესახებ" №, ტ. 18, გვ. 81).

საბჭოთა წყობილებამ გაათავისუფლა ხალხთა შემოქმედებითი ძალები, გახადა რა კულტურა მშრომელთა კუთვნილებად. აღსრულდა მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო ადამიანთა ოცნება: ხალხმა ღირსეულად დააფასა და აამაღლა მათი კულტურული მემკვიდრეობა, შეიტანა რა იგი სოციალისტური კულტურის მშენებლობაში. სოციალიზმმა გაანაყოფიერა ხელოვნება, მეცნიერება, ტექნიკა, არაჩვეულებრივ სიმაღლეზე აიყვანა რუსული კულტურის დონე, რომლის უდიდეს მიღწევას, ამხანაგი სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ლენინიზმი წარმოადგენს.

მალე ნახევარი საუკუნე გახდება, რაც რუსეთის მუშათა კლასს თავის ბელადებად ჰყავდა და ჰყავს ლენინი, სტალინი (ხანგრძლივი ტაში), რომელთა სახელებს გაჭირვებით, კოლონიური ჩაგვრით, კაპიტალისტური ექსპლოატაციით წელში გაწყვეტილნი ასობით მილიონი ადამიანები თავიანთი განთავისუფლების განთიადს უკავშირებენ.

მსურს, რომ ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებმაც წამოაყენონ თავიანთ წრიდან მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის დიდი ოსტატები (ტაში).

მესამე კარი ლაპარაკობს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაეს ორგანოთა შექმნას — უზენაესი საბჭოს შექმნაზე, რომელიც ოთხი წლით აირჩევა. უზენაესი საბჭო რესპუბლიკის უზენაესი ხელისუფლების მატარებელია და ყველა უფლებებს ანხორციელებს კონსტიტუციის 13 და 19 მუხლების თანახმად. უზენაესი საბჭო ირჩევს პრეზიდიუმს, რომელიც მისი ანგარიშვალდებულია ყველა თავის საქმიანობაში.

მეოთხე კარი აწესებს რსფს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის უზენაეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს — სახალხო კომისართა საბჭოს, განსაზღვრავს მის კომპეტენციას და სახალხო კომისარიატთა ფუნქციებს.

ხალხთა მეგობრობა და ძმობა

მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კარებში ლაპარაკია სახელმწიფო ხელისუფლების უზენაეს ორგანოებზე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში.

ჩვენ რესპუბლიკაში ნაციონალურ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მას რევოლუციამდელ რუსეთშიც არ შეეძლო მნიშვნელობა არ ჰქონოდა, მაგრამ მეფის მთავრობა შედარებით უფრო მეტ ანგარიშს უწევდა ისეთ კულტურულ ეროვნებათ, როგორიც არიან პოლონეთი, ფინეთი, ლატვია, ესტონეთი. ამ ეროვნებათა მიმართ თვითმპყრობელობა ანხორციელებდა უფრო ფრთხილ პოლიტიკას, ვინაიდან აქ მას წინ ეღობებოდა კულტურული ნაციონალური ბურჟუაზია, რომლის წინააღმდეგობა უფრო ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. ყველასათვის ცნობილია, რომ მაგალითად, პოლონეთის ბურჟუაზიის ნაწილს ორიენტაცია აღებული ჰქონდა რუსეთზე, როგორც თავისი საქონლის გასაღების სასარგებლო ბაზარზე. საკმარისია მოვიგონოთ პოლონეთის მანუფაქტურის კონკურენცია მოსკოვის მანუფაქტურის წინააღმდეგ, პოლონეთის ფაბრიკანტების ბრძოლა მოსკოველ ფაბრიკანტებთან მთავრობის წრეებში გავლენისათვის, ოსტზეის თავად-აზნაურობის (ბარონთა) ახლო კავშირი მეფის დინასტიის სასახლესთან. ერთი სიტყვით, მეფის მთავრობა ამ ეროვნებებს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მათ გაბატონებულ კლასებს უფრო მეტ ანგარიშს უწევდა, ვიდრე სხვა ეროვნებებს.

რაც შეეხება აღმოსავლეთისა და კავკასიის ხალხებს, აქ იყო შემდეგი პოლიტიკა — შეავიწროე, გასრისე, დაჭყლიტე და იბატონე, უმთავრესად კი სძარცვე და სძარცვე—და მართლაც, თვით პროლეტარულ რევოლუციამდე ხდებოდა იმ მიწა-წყლის ძარცვა, რომლებიც ბაშკირ, თათარ, მონღოლ და თურქ გლეხებს ეკუთვნოდათ.

ცხადია, ასეთი პოლიტიკა აღატაკებდა ეროვნებათა გლეხობას, იგი ყოველ იმედს ჰკარგავდა. მის თვალში უმიზნო ხდებოდა მისივე საკუთარი მუშაობა. მიწა-წყლის სისტემატური ძარცვა, აუტანელი გადასახადები, ხელისუფალთა უხეში თვითნებობა, მუდმივი დამცირება, — ყოველივე ეს იწვევდა არა განვითარებას, არამედ მეურნეობის დეგრადაციას, ამით კი მთელ ხალხთა დეგრადაციასაც.

ილუსტრაციისათვის მოვიყვანთ ამონაწერს იმ პოლიტმიმოხილვიდან, რომელიც შედგენილია უფის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მიერ 1902 წელს.

„უფის გუბერნია, რომელიც მოსახლეობის შემადგენლობით — ლაპარაკია ამ მიმოხილვაში, უმეტესად ინოროდცული ელემენტებისაგან შესდგება, შეიძლება მივაკუთვნოთ რუსეთის ყველაზე უფრო მრავალტომიან გუბერნიებს. მოსახლეობის მთავარ კონტინგენტს წარმოადგენენ მუსლიმანები: თათრები, ბაშკირები, აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებმაც ქრისტიანობა მიიღეს — ჩერემისები, მორდვები, ჩუვაშები, ტეპტიარები, მეშჩერიაკები; შემდეგ საქარხნო რუსი მოსახლეობა და რუსი გლეხობა უმეტესად რუსეთის, მოლოროსიისა და პრიბალტიკის გუბერნიების სხვადასხვა ადგილიდან გადმოსახლებულნი, და, ბოლოს, კერპთაყვანისმცემელ ჩერემისთა უმნიშვნელო პროცენტი...

კულტურის მხრით თითქმის მთელი ინოროდცული მოსახლეობა განვითარების ყველაზე უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფება, იგი უაღრესად უხეში, უმეცარი, ზნე-ჩვეულების მქონეა. მოსახლეობის აბორიგენები კი—ბაშკირები იმყოფებიან გადაშენების გზაზე, მათ აშკარა დეგენერაციის ნიშნები ახასიათებთ.

უფის გუბერნიის მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა— ბრწყინვალე როდია და მას ბევრი რამ აკლია. 1891 წლიდან მოკიდებული განუწყვეტელმა მოუსავლობამ ძირი გამოუთხარა ნორმალურ პირობებშიაც არც ეგრერიგად უზრუნველყოფილი მოსახლეობის კეთილდღეობას, და, მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის მთელი მოსახლეობა ჯერ კიდევ დიდ ხანს და დიდ ხანს უნდა იქნეს მთავრობის ყურადღებისა და მზრუნველობის საგანი, რათა იგი

დასასრული იხ. მე-3 გვერდზე

ამხ. მ. ი. კალინინის მოხსენების დასასრული

უზრუნველყოფილ იქნეს უბრალო საარსებო სურსათ-სანოვაგით, რომ მოისპოს შიმშილობა და მისი შედეგები. ამ სავალალო მდგომარეობის მთავარ კონტინგენტს წარმოადგენენ ბაშკირები, როგორც ზარმაცი, უდარდელი, უზრუნველი ელემენტი. ბაშკირთა სიღარიბე განსაცვიფრებელია თუმცა მათ მოეპოვებათ უდიდესი რაოდენობის მიწა-წყალი. იგი სწორედ იმდენს სთესავს, რომ ნახევრად მშიერი მაინც სცხოვრობდეს. მას არ მოეპოვება არც პირუტყვი არც სამიწათმოქმედო იარაღი; არ აქვს არც ტანსაცმელი, არც სახლის მოწყობილობა, ქოხები კი ისეთია, რომ პირდაპირ გიკვირს, როგორ შეიძლება იქ ცხოვრება აქაურ სუსხიან ზამთარში...

საქარხნო ხალხი გონებრივად შედარებით უფრო განვითარებული და მკვირცხლია, მაგრამ ამასთან ერთად უაღრესად უზნეო. გარყვნილება, ლოთობა, აყალმაყალი, მკაცრი მოპყრობა, ქურდობა და სხვა ნაკლი და ცუდი თვისება საერთოა მუშებისათვის. მათი მატერიალური მდგომარეობა უმეტეს შემთხვევაში არ შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს და უმნიშვნელო დღიური ხელფასის 50, 60, 70 კაპიკით უხდებათ ოჯახის შენახვაც და ლოთობაც...

გასულ წელს საჯარო ლექციები არ ყოფილა. ხალხისათვის კითხვა სწარმოებდა სახალხო საჩაიებში კვირა დღეებს და მას უმეტესად ეწეოდენ მასწავლებლები და ადგილობრივი სამღვდელოება; კითხულობდნენ უმთავრესად სასულიერო-ზნეობრივი შინაარსის სტატიებს, ნაწილობრივ ისტორიულსა და პოპულარულ სტატიებს, რის ილუსტრაციასაც ხანდახან ახდენდნენ სათანადო ბუნდოვანი სურათებით. გარდა ამისა, ზოგიერთ, უმეტესად სამაზრო ქალაქების სახალხო აუდიტორიებში აწყობდნენ მუსიკალურ-საცეკვაო საღამოებს, რაც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ხალხს.

პრესის ადგილობრივი ორგანოები, უფის საგუბერნიო ოფიციალურ უწყებათა გარდა, არ მოიპოვება“...

ეს დოკუმენტი 35 წლისაა. საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ მდგომარეობა რევოლუციის დაწყების დღისათვის არსებითად შეიცვალა. პირიქით, ომის გამო, იგი კიდევ უფრო გაუარესდა. დოკუმენტის ავტორი იმის თავდებია, რომ ეროვნულ უმცირესობათა ნამდვილი მდგომარეობა იყო არა უკეთესი, არამედ გაცილებით უარესი, ვიდრე მიმოხილვაშია დახატული.

ასეთ მდგომარეობაში იყო ყველა ის ეროვნება, რომლებიც თანამედროვე რსფს რესპუბლიკაში მოსახლეობენ: მორდვები, უდმურტები, ყალმუხები, კავკასიის ხალხები — ჩაჩნები, ყარაჩაელები, ყაბარდოელები, ბალყარები, დაღისტნელები და სხვები.

განსაზღვრავდა რა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში, ამხანაგი სტალინი სწერდა:

„ცარიზმი განზრახ ანვითარებდა განაპირა ქვეყნებში პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმ მიზნით, რომ მასები მონობაში და უმეცრებაში ჰყოლოდა. ცარიზმმა განზრახ დაასახლა განაპირა ქვეყნების კუთხეები კოლონიზატორული ელემენტებით იმ მიზნით, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ყველაზე უარეს რაიონებში გაეძევებინა და ნაციონალური შუღლი გაეძლიერებინა. ცარიზმი ავიწროვებდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმ მიზნით, რომ მასები ბნელეთში დაეტოვებინა. ცარიზმი ძირშივე ჰკვეთდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველგვარ ინიციატივას. ბოლოს, ცარიზმი ახშობდა განაპირა ქვეყნების ხალხის მასების ყოველგვარ აქტიობას. ყოველივე ამით ცარიზმმა დათესა მკვიდრ მოსახლეობაში უდიდესი უნდობლობა, — რომელიც ზოგჯერ გადადიოდა მტრულ დამოკიდებულებაში, — ყოველივე რუსულისადმი. რომ განვამტკიცოთ კავშირი ცენტრალურ რუსეთსა და განაპირა ქვეყნებს შორის, უნდა მოვსპოთ ეს უნდობლობა, უნდა შევქმნათ ურთიერთ გაგებისა და ძმური ნდობის ატმოსფერა“*).

კომუნისტური პარტია როგორც ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე თავის აგიტაციაში, ისე მას შემდეგ თავის პრაქტიკულ საქმიანობაში, ამოცანად ისახავდა შეექმნა რუსეთის ხალხთა ურთიერთ დახმარებაზე დაფუძნებული ნამდვილად ძმური თანაცხოვრების პირობები. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, პარტიამ შექმნა ხალხთა ურყევი მეგობრობა, რომელშიც მსოფლიო პროლეტარიატი ხედავს მომავალი კომუნისტური საზოგადოების პროტოტიპს. (ტაში. შეძახილები: „მართალია!“).

წარსულში თავისი კულტურით ჩამორჩენილი ხალხნი სწრაფად ეწევიან წინწასულთ. იქმნებიან და იზრდებიან ნაციონალური კადრები. რუსული ლიტერატურა ხდება ხალხთა მშობლიურ ლიტერატურად. რუსულ ენას უკვე ხალისითა და თავისუფლად სწავლობენ. კულტურული და მატერიალური უზრუნველყოფის ზრდა, პოლიტიკური შეგნების, შემოქმედებითი ინიციატივის ზრდა—ახასიათებს ჩვენს რესპუბლიკაში მოსახლე ყველა ხალხსა და ეროვნებას. ასეთია კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკის პოლიტიკური შედეგები.

საბჭოთა დემოკრატიის მწვერვალებისაკენ

თავი მერვე აწესებს სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლებებსა და მოვალეობებს, დაწყებული სამხარეოთი და გათავებული სოფლის საბჭოთი.

„სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მხარეებსა, ოლქებსა, ავტონომიურ ოლქებსა ნაციონალურ ოკრუგებსა, ადმინისტრატიულ ოკრუგებსა, რაიონებსა, ქალაქებსა და სოფლებში (სტანიცებში, სოფლებში ხუტორებში, აულებში) წარმოადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები“ (მუხლი მე-77).

ამ საბჭოების აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს წარმოადგენენ მათ მიერ არჩეული აღმასრულებელი კომიტეტები თავმჯდომარის, მოადგილეების, მდივნისა და წევრების შემადგენლობით, რუსეთის სფს რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული რაოდენობით.

მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებული არიან როგორც თავისი საბჭოს წინაშე, ისე ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი ორგანოს წინაშე. ზემდგომ საბჭოებსა და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ გააუქმონ ქვემდგომი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების ის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, რომელნიც კანონსა და სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებიან.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ორნაირი მნიშვნელობა აქვთ: როგორც ადგილობრივი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და როგორც ადგილობრივი მოსახლეობის არჩევით ორგანოს. ამის შესაბამისად მათ ორნაირი დაქვემდებარებაც აქვთ. ზემდგომი საბჭო არა მარტო კონტროლს უწევს ქვემდგომი საბჭოს მოქმედების კანონიერებას, არამედ კიდეც ხელმძღვანელობს მას და, თავის მხრით, მას პასუხისმგებლობა აწევს ქვემდგომი საბჭოს მოქმედებისათვის.

ეს გამომდინარეობს საბჭოთა წყობილების სტრუქტურიდან.

მრეწველობა, ვაჭრობა ჩვენში მთლიანად სახელმწიფოს ან კოოპერაციის ხელშია. მიწა სახელმწიფოს სოციალისტურ საკუთრებას წარმოადგენს, ესე იგი, მთელ ხალხს ეკუთვნის სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმა განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის თითქმის მთელ წარმოებას. თვითეული სოფლის საბჭო ასრულებს ამ გეგმის რომელიმე ნაწილს. თვითეულ კოლმეურნეობას, თვითეულ საწარმოო ერთეულს აწევს პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე გეგმის თავისი ნაწილის შესრულებისათვის, თუნდაც ეს სამეურნეო ერთეული არ იყოს უშუალოდ სახელმწიფოებრივი. ადგილობრივი საბჭოები, ასრულებენ რა საერთო სახელმწიფოებრივ გეგმებს, მოსახლეობის ინტერესებს მთელი სახელმწიფოს ინტერესებთან აკავშირებენ.

მაგრამ საბჭოებს სხვა მხარეც აქვთ, ესაა მათი მჭიდრო კავშირი მოსახლეობასთან. საბჭოებს მოსახლეობა ირჩევს საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით. მაშასადამე, ამომრჩეველთა ზეგავლენა მათზე, ამომრჩეველთა მოთხოვნების ცოდნა, საბჭოების საკუთარი დაინტერესება სწორედ თავიანთი კუთხის აყვავებით სრულ საშუალებას იძლევიან უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი საჭიროებანი. ადგილობრივი ინტერესების შეთანხმებას საერთო-სახელმწიფოებრივ, ესე იგი, საერთო-სახალხო ინტერესებთან როგორც მოსახლეობას, ისე საბჭოთა ორგანოებს უნერგავს კომუნისტური პარტია.

ჩვენს მტრებს უყვართ იმაზე მითითება, რომ საბჭოებს პარტია ხელმძღვანელობს. ეს სწორია. მაგრამ მათ არ ესმით ისა, რომ თვით პარტია ზეციდან კი არ ჩამოვარდნილა. იგი უდიდესი უმრავლესობით აგრეთვე ადგილობრივი ადამიანებისაგან შესდგება. ასე, რომ ადგილობრივი ორგანოების კავშირი მოსახლეობასთან ორნაირია — პარტიის ხაზითაც და საბჭოების ხაზითაც.

ამაშია ჩვენი განსხვავება კაპიტალისტური ქვეყნებისაგან. რა თქმა უნდა, ხელისუფლების ორგანოთა ასეთი აგებულება შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოში. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები არა თუ მარტო ახლოს არიან მოსახლეობის მასასთან, ისინი სახალხო ხელისუფლების ნამდვილი ორგანოები არიან, რომლებიც ათასი ძაფით არიან დაკავშირებული მშრომელებთან (ტაში).

ჩვენ აქ მივდივართ ლენინის მიერ ნაჩვენები გზით:

„...ჩვენ გვაქვს „საუცხოო საშუალება“ ერთბაშად, ერთი დარტყმით გავაათკეცოთ ჩვენი სახელმწიფო აპარატი, საშუალება, რომელიც არცერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არასოდეს არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონდეს. ეს საუცხოო საქმეა — მშრომელთა მოზიდვა, ღარიბთა მოზიდვა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ყოველდღიურ მუშაობაში“.*)

ჩვენი კონსტიტუცია, ლაპარაკობს რა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლებებსა და მოვალეობებზე, პირველად განსაზღვრავს საბჭოთა ორგანოების სტრუქტურასაც. ამ კარს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამით ბოლო ეღება თვითნებობასა და ადგილობრივ სამართალშემოქმედებას. კონსტიტუცია ზუსტად განსაზღვრავს საბჭოს განყოფილებათა ფუნქციებსა და ურთიერთდამოკიდებულებას. მაშასადამე, კონსტიტუციის განხილვისას ჩვენ დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ჩვენი საბჭოების ორგანიზაციული აგებულების საკითხს. ეჭვი არ მეპარება, რომ იგი გამოიწვევს აზრთა გაცხოველებულ გაზიარებას ყრილობის დელეგატთა მხრით.

ამხანაგებო, მე გამოვტოვებ მეცხრე თავს, რომელიც ეხება რუსეთის სფს რესპუბლიკის ბიუჯეტის აგებულებას. ვფიქრობ, რომ ამ თავზე სპეციალურად შეჩერდება ამხანაგი სულიმოვი.

სასამართლოსა და პროკურატურის შესახებ კონსტიტუციის პროექტში ლაპარაკობს მეათე თავი, რომელიც შეესაბამება საკავშირო კონსტიტუციის მეცხრე თავს.

პარტიამ და მთავრობამ ბევრი გააკეთეს, რათა აემაღლებინათ ჩვენი სასამართლო და საპროკურორო სისტემის როლი და მნიშვნელობა. კონსტიტუციის პროექტით სასამართლო და პროკურატურა წარმოადგენენ დამოუკიდებელ ორგანოებს. მე-118 მუხლი პირდაპირ ამბობს: „მოსამართლენი დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან“. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების, მხარეებისა და ოკრუგების უზენაეს სასამართლოს ირჩევენ სათანადო უზენაესი საბჭოები და მხარეთა, ოლქთა და ავტონომიურ ოლქთა მშრომელების დეპუტატთა საბჭოები 5 წლის ვადით. სახალხო მოსამართლეებს ირჩევენ რაიონის მოქალაქენი საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, სამი წლის ვადით.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში სასამართლო არის კაპიტალისტური წყობილების ბურჯი. მეტწილ შემთხვევებში იგი წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის ყველაზე რეაქციულ ნაწილს. შეიძლება თამამად ითქვას, — მუშები თავის ინტერესთა დაცვის დროს იქ სიმართლეს ვერ იპოვიან. ბურჟუაზიული სასამართლო — ეს არის კაპიტალიზმის ერთერთი ყველაზე მოქნილი ინსტიტუტი ხალხის მასების მოსატყუებლად. დაცვის მიუდგომლობის გარეგნული ბრწყინვალება, მხარეთა საჯარო კამათი, ბრალდებულებისათვის თავის დაცვის უფლებებისა და შესაძლებლობის ვითომდა მინიჭება, ბოლოს, მოსამართლის ხანგრძლივი შეუცვლელობა, — ყოველივე ეს ფართო მასების თვალში ჰქმნის კლასების ზემოთმდგომი სასამართლოს ილუზიას. არსებითად ეს ბურჟუაზიული სასამართლო არა მარტო შიშით, არამედ სინდისითაც იცავს კაპიტალისტთა ინტერესებს.

ჩვენი სასამართლო პრინციპულად სხვა პირობებზეა დამყარებული. მშრომელთ არა აქვთ ანგარებითი ზრახვები სხვა კლასების მიმართ, ვინაიდან ისინი არიან ღირებულებათა უშუალო შემქმნელნი, და მათი სასამართლო, საბჭოთა წყობილების თვით ბუნების ძალით, პირუთვნელი უნდა იყოს, ესე იგი მისი გადაწყვეტილებანი უნდა გამომდინარეობდნენ საერთო სახალხო ინტერესებიდან, ჩვენი სასამართლო უნდა ამხელდეს და სჯიდეს საბჭოთა წყობილების მტრებს.

თავისი სამოსამართლო საქმიანობის მრავალრიცხოვანი მაგალითებით — პირად ინტერესთა შეხლა-შემოხლის, სამსახურებრივ დანაშაულთა, დაუდევრობათა, ბოროტ განზრახვათა და ა. შ. გარჩევა — იგი უნდა ასწავლიდეს ადამიანებს ამ მოვლენებისადმი, ცხოვრების მოვლენათა შეფასებისადმი კომუნისტურად მიდგომას. სასამართლოს ამოცანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ძნელია, მაგრამ მასთან ერთად იგი საპატიოცაა.

პროკურატურის ინსტიტუტი ცალკეა გამოყოფილი, როგორც ისეთი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც მოწოდებულია თვალყური ადევნოს კანონების ზუსტად შესრულებას ყველა სახალხო კომისარიატის, მათი დაწესებულებებისა და თანამდებობის ცალკე პირების მიერ, აგრეთვე რსფს რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ.

„პროკურატურის ორგანოები თავის ფუნქციებს ახორციელებენ ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოსაგან დამოუკიდებლად და ემორჩილებიან მხოლოდ სსრ კავშირის პროკურორს“ (მუხ. მე-123).

კონსტიტუციის ამ მუხლთა აზრი ექვემდებარება ერთ პრინციპს — რევოლუციური კანონიერების ერთიანობის პრინციპს. რას ნიშნავს ეს? ამაზე უმჯობესია ვუპასუხოთ ლენინის სიტყვებით. წერილში ამხანაგ სტალინისადმი ლენინი სწერდა:

„არის თუ არა ქედმაღლობა იმ შეხედულებაში, რომ კანონიერება არ შეიძლება იყოს კალუგური და ყაზანური, არამედ უნდა იყოს ერთიანი სრულიად-რუსეთისათვის და ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისთვისაც კი?... ყველა ამ საკითხში ადგილობრივ განსხვავებათა გაუთვალისწინებლობა იქნებოდა ბიუროკრატიულ ცენტრალიზმში და სხვ. გადავარდნა, იქნებოდა ადგილობრივი მუშაკებისათვის ხელის შეშლა ანგარიში გაუწიონ იმ ადგილობრივ განსხვავებას, რაიც გონივრული მუშაობის საფუძველს წარმოადგენს, ამავე დროს კანონიერება უნდა იქნეს ერთი, და მთელს ჩვენს ცხოვრებაში, მთელს ჩვენს უკულტურობაში ძირითად ბოროტებას წარმოადგენს ძველისძველი რუსული შეხედულებისათვის ხელის დაფარება და ჩვევები ნახევრად ველური ადამიანებისა, რომელთაც სურთ შეინარჩუნონ კალუგური კანონიერება ყაზანური კანონიერებისაგან განსხვავებით“... *)

ლენინი პროკურატურისაგან მოითხოვდა, რომ მან თვალყური ადევნოს კანონების ჭეშმარიტად ერთნაირი გაგების დამკვიდრებას მთელს რესპუბლიკაში, მიუხედავად ათასგვარი ადგილობრივი განსხვავებისა და მიუხედავად ათასგვარი ადგილობრივი გავლენისა.

ლენინის ამ მოთხოვნამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ჩვენი კონსტიტუციის პროექტში.

მეთერთმეტე თავი ეხება მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს. ამ თავის და საკავშირო კონსტიტუციის სათანადო თავის შინაარსი ერთი და იგივეა. ეჭვს გარეშეა, იგი შეტანილია ყველა დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებშიაც, მაგრამ უკვე უეჭველია, არ მოიპოვება არც ერთი კაპიტალისტური ქვეყნის კონსტიტუციაში, ყველაზე დემოკრატიული ქვეყნებისაშიაც კი. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ეს მუხლები დამახასიათებელია მხოლოდ სოციალისტური სახელმწიფოსთვის.

რუსეთის სფს რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, აქვთ უფლება მიიღონ გარანტირებული სამუშაო მათი შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ეს უფლება ჩაწერილია მე-124 მუხლში. არსებითად, კონსტიტუცია მხოლოდ იურიდიულად აფორმებს არსებულ მდგომარეობას, რადგან სოციალისტური მეურნეობის მოწყობით, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალთა ზრდით — უმუშევრობა ჩვენში ლიკვიდირებულია.

შეუძლია თუ არა რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანას, თუნდაც ყველაზე მდიდარს, დაისახოს ასეთი ამოცანა? ცხადია, არ შეუძლია. კაპიტალისტური საზოგადოების ბუნება მოითხოვს უმუშევართა სათადარიგო არმიას. სამრეწველო აღმავლობისა და გაფთრებული საბირჟო სპეკულაციის დროს ეს არმია მცირდება. კრიზისების დაწყებისთანავე მუშათა დიდი ნაწილი უმუშევარი რჩება. ამავე დროს კაპიტალისტებს ძლიერი იერიში მიაქვთ მომუშავეთა ხელფასზე. ამგვარად, უმუშევრის შიმშილსა და მომუშავის ღატაკურ არსებობაზე დამყარებით კაპიტალისტი მიისწრაფის შეინარჩუნოს თავისი მოგების მაღალი ნორმა.

ფაშიზმის ხელმძღვანელები გერმანიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების დროს იძლეოდნენ დაპირებას, რომ კისერს მოუგრეხდნენ კაპიტალისტებს, აიძულებდნენ მათ ანგარიში გაეწიათ როგორც სახელმწიფოს, ისე მწარმოებელთა ინტერესებისთვის. ახლა კი მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ეს თავიდან ბოლომდე ტყუილი იყო. მოტყუებული დარჩნენ მუშები, მოტყუებული დარჩნენ გლეხები, მოტყუებული დარჩა წვრილი ბურჟუაზია, ინტელიგენცია. წინანდებურად გაბატონებული არიან მსხვილი მემამულეები, მრეწველობის მაგნატები, სპეკულანტები და მებირჟეები, რომელთა ინტერესებს იცავს ფაშიზმი. ფაშიზმი ხელისუფლების სათავეში — ეს არის საფინანსო კაპიტალის ყველაზე რეაქციული ელემენტების აშკარა ტერორისტული დიქტატურა.

სტალინური გზით

ამხანაგებო, მთელმა მშრომელმა მსოფლიომ იცის, თუ რა უმნიშვნელო მატერიალური რესურსებით გამოვიდა საბჭოთა წყობილება საზოგადოებრივ ასპარეზზე. და აი, თავისი არსებობის მე-20 წელს საბჭოების ქვეყანა კონსტიტუციური წესით უზრუნველჰყოფს შრომის უფლებას, დასვენების უფლებას, სამუშაო დღეს ამცირებს შვიდ საათამდე, უზრუნველჰყოფს ყოველწლიურ შვებულებებს მუშებისა და მოსამსახურეებისათვის სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით, უზრუნველჰყოფს მშრომელთ სანატორიუმებით, დასასვენებელი სახლებით და ა. შ., მატერიალურად უზრუნველჰყოფს ადამიანს მოხუცებულობაში, ავადმყოფობის, შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ჩვენ წავართვით კაპიტალისტებს საწარმოო საშუალებანი და გავხადეთ მთელი ხალხის საკუთრებად.

რუსეთის სფს რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება (მუხ. 127). ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლებით, უფასო განათლებით, უმაღლესი განათლების ჩათვლით, უმაღლეს სკოლაში მოსწავლეთა დიდი უმრავლესობისათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედაენაზე სწავლებით, მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში.

ტექნიკის შესწავლა ქარხნებში, აგრონომიისა კოლმეურნეობებში და ტექნიკისა საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გარდა, საშუალებას აძლევს ნიჭიერ ადამიანებს შევიდნენ შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, როგორც ეს პრაქტიკაში ხდება. ცნობილია, რომ ასობით ჩვენი სტახანოველები შევიდნენ სასწავლად უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ მუშათა კადრების ცოდნის დონეს ვამაღლებთ ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის ცოდნის დონემდე.

კოლმეურნეები, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელნი, თავისი საწარმოო პრაქტიკით სწრაფად უახლოვდებიან სამრეწველო მუშებს. ტექნიკა წლითიწლობით უფროდაუფრო მძლავრად ინერგება სოფლის მეურნეობაში, ამაღლებს რა სოფლის კულტურულ დონეს, აუმჯობესებს მის კეთილდღეობას. მექანიკოსი, ზეინკალი, ტრაქტორისტი, შოფერი, კომბაინერი, ინჟინერი, მექანიზატორი, აგრონომი, მასწავლებელი, ექიმი, ზოოტექნიკოსი, მეცხოველე, მონაგარიშე, ბუხჰალტერი — ეს ის პროფესიებია, რომელნიც მტკიცედ მკვიდრდებიან საბჭოთა სოფლის თანამედროვე ცხოვრებაში. ეს ახალი კულტურული ძალა აჩქარებს ქალაქის დაახლოვებას სოფელთან.

რუსეთის სფს რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ არა მარტო უფლებანი, არამედ მოვალეობანიც. მე მინდა ერთ მათგანს მივაქციო თქვენი ყურადღება. მუხლი 139 ამბობს:

„სამშობლოს დაცვა რუსეთის სფს რესპუბლიკის თვითეული მოქალაქის წმინდა მოვალეობაა. სამშობლოს ღალატი: ფიცის გატეხვა, მტრის მხარეზე გადასვლა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის ზიანის მიყენება, ჯაშუშობა—ისჯება კანონის მთელი სისასტიკით, როგორც ყველაზე მძიმე ბოროტმოქმედება“.

ამ მუხლის მნიშვნელობა ყველასათვის გასაგებია. ჩვენი სახელმწიფო სოციალისტურია, მაგრამ იგი გარემოცულია კაპიტალისტური ქვეყნებით, რომელთა გაბატონებულ კლასებს დიდი სურვილი აქვთ გაანადგურონ სოციალიზმის ერთადერთი კერა მსოფლიოში. ისინი იყენებენ მის წინააღმდეგ ბრძოლის უაღრესად მრავალნაირ ფორმებს: ცილისწამებას, დივერსიას, ჯაშუშობას, პროვოკაციას, ყველაფერს იყენებენ იმისთვის, რომ ზიანი მიაყენონ სოციალისტურ მშენებლობას. ამიტომ ჩვენ უნდა გავაათკეცოთ ჩვენი სიფხიზლე არა მარტო ჩვენს საზღვრებზე, არამედ ჩვენი ქვეყნის შიგნითაც. ჩვენ შეუძლებელი უნდა გავხადოთ ხალხის მტრების ყოველგვარი ცდა ზიანი მიაყენონ საბჭოთა კავშირის თავდაცვის ძლიერებას.

ამხანაგებო, სიტყვა სიფხიზლე ჩვენში ძალიან ხშირად იხმარება და, შეიძლება ითქვას, მისი ხშირად ხმარებისაგან იგი ჰკარგავს თავის შინაგან შინაარსს. ხოლო ეს შინაგანი შინაარსი უდიდესია. მართლაც, ჩვენ ასევე ხშირად ვამბობთ, და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ ჩვენი სამშობლო მშვენიერია, ჩვენ იგი გვიყვარს და არც შეიძლება არ გვიყვარდეს, რადგან მასში მინიჭებული აქვთ ბედნიერება ადამიანთა მილიონებს, მასში ადამიანთა ქვედაფენები აღძრული არიან შემოქმედებითი საქმიანობისათვის, მასში განთავისუფლებულია ქალი, და ქალთა სრულიად-საკავშირო თათბირები დემონსტრაცია იყო იმისი, რომ ქალი შეიჭრა საბჭოთა ცხოვრების შიგ შუა გულში. ხალხი გატაცებულია თავისი მუშაობის შედეგებით, წარმატებებით, რომელთაც მან მიაღწია მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, საკუთარი კულტურულობის ამაღლებაში და პოლიტიკური გარსახედველის ზრდაში. და მაინც სიფხიზლე ხშირად ვერ ჰპოულობს იმ ღრმა გაგებას, რომლის ღირსიც არის იგი.

ჩვენ ძირითადად ავაშენეთ სოციალისტური საზოგადოება, შევქმენით ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია. ჩვენი მტერი იმდენად დათრგუნვილია, რომ არ შეუძლია გამოჰყოს ცხვირი დღის სინათლეზე, ხალხში. მაგრამ ეს სრულიადაც არ ხსნის სიფხიზლის საკითხს, რადგან კლასობრივი ბრძოლა არ შეწყვეტილა. იგი გამწვავდა, მან მიიღო არა მარტო პოლიტიკურად, არამედ აგრეთვე ორგანიზაციულად საერთაშორისო ხასიათი. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სამოქალაქო ომი ესპანეთში. მაგრამ ნუ დავივიწყებთ მაგალითების ძებნას საზღვრების იქითა მხარეს. მავნებელთა და კონტრრევოლუციონერთა პროცესები სსრ კავშირში მოწმობენ, რომ მათ კავშირი ჰქონდათ საზღვარგარეთულ კონტრდაზვერვებთან და ფაშისტურ ორგანიზაციებთან.

ხალხი თავისი უმრავლესობით მიმნდობი, კეთილშობილი და დიდსულოვანია. წარსულში ამ თვისებებისათვის იგი ბევრჯერ მოატყუეს გაბატონებულმა კლასებმა. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს, რასაც უნდა გავუფრთხილდეთ, გვაქვს ბევრი რამ, რის მიმართაც უნდა გამოვიჩინოთ სიფხიზლე. სიფხიზლე უნდა იყოს არა ფორმალური, არა ქაღალდზე, იგი მიმართული უნდა იქნეს არა იმისკენ, რომ აი, ადამიანმა უხეიროდ გამოთქვა აზრი, არამედ მისკენ, თუ რას აკეთებს იგი. მისი მუშაობის შედეგებისაკენ მისი ყოველდღიური ქცევისაკენ. ადამიანთა გამოცნობა კომუნისტის მეტად მნიშვნელოვანი თვისებაა. მე ვისურვებდი, რომ მუხლი 139 მტკიცედ გაჯდეს შეგნებაში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს.

მეთორმეტე თავში ჩამოყალიბებულია საარჩევნო სისტემა, განსაზღვრულია მისი პრინციპები და ყველა საბჭოს არჩევნების ნორმები. ამ თავის პრინციპული დებულებანი საფუძვლად დაედება საარჩევნო კანონს. თავის სიტყვაში საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მოლოტოვი, ანალიზს უკეთებდა რა ჩვენს დამოკიდებულებას დემოკრატიზმთან, (ცალკე შეჩერდა საარჩევნო სისტემაზე. მე მთლიანად ვეურთდები ამხანაგ მოლოტოვის სიტყვის ჩინებულად გამოთქმულ დებულებებს (ტაში).

მეცამეტე თავი განსაზღვრავს რესპუბლიკის გერბს, ბაირაღს, დედაქალაქს.

და მეთოთხმეტე თავი შეიცავს კონსტიტუციის შეცვლის წესს.

ამხანაგებო, ჩვენი რესპუბლიკა სსრ კავშირის ორგანული ნაწილია. ჩვენი ხალხი მუდამ იყო და იქნება საკავშირო სახელმწიფოს დასაყრდენი (ტაში).

ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუცია დაფუძნებულია სტალინური კონსტიტუციის პრინციპებზე. ამ კონსტიტუციის დროშით, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, ჩვენი ბელადი ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით წინ — კომუნიზმისათვის! **(ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში გაისმის მისალმების შეძახილები და ხმები—„ვაშა“).**

---

*) (სტალინი. მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი. გვ. 83, თბილისი 1934 წ.)

*) ლენინი. ტომი XXI, გვ. 264—265.

*) ლენინი, ტ. XXVII, გვ. 298—299, გამ. მე-2.

დადგენილება

საქართველოს საბჭ. სოც. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1937 წლის თებერვლის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ოთხფეხი საქონლის აღწერის შესახებ

საქართველოს სსრ-ში ოთხფეხი საქონლის ზუსტი ცნობების მიღებისა და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შემოწმებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, „1937 წ. თებერვლის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ოთხფეხი საქონლის აღწერის შესახებ“ გამოცემული, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის სექტემბრის 4-ის დადგენილების შესაბამისად ადგენს:

1. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს:

ა) ჩაატაროს ნატურად მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სოფლად და ქალაქად (ხევსურეთისა და მთა-თუშეთის გამოკლებით) ცხენებისა, მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა, ღორებისა, ცხვრებისა, თხებისა, ვირებისა, ჯორებისა და აქლემების აღწერა ყველა მეურნეობაში 1937 წ. თებერვლის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით;

ბ) აღნიშნული აღწერის დამთავრებისას — ჩაატაროს აღწერის ცნობების მასობრივი საკონტროლო შემოწმება; ამასთანავე შემოწმებით მოცულ უნდა იქნეს კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების არა ნაკლებ 10 პროცენტისა, როგორც სოფლად ისე ქალაქად.

2. იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, რომლებიც ერეკებიან საქონელს ზამთრის საძოვრებზე, სოფლად საქონლის აღრიცხვასთან ერთად უნდა აღწერონ საქონელი ნატურად ზამთრის საძოვრებზე (შირაქის ველზე, ყიზლიარსა, აზერბეიჯანსა, ჭალადიდში და სხვ.).

წინადადება მიეცეს იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, რომლებიც ერეკებიან საქონელს ზამთრის საძოვრებზე (გურჯაანისა, სიღნაღისა, თელავისა, ყვარლისა, ლაგოდეხისა, თბილისისა, დუშეთისა, საგარეჯოს, ბაშკიჩეთისა, თიანეთისა, ყაზბეგისა, ჯავისა ლენინგორისა, სტალინირისა, ცხაკაიასა, გეგეჭკორისა, ზუგდიდისა, ხობისა, წალენჯიხისა, ჩხოროწყუისა, ბათუმისა, ქობულეთისა, ქედის და სხვა რაიონებისა) წარავლინონ თავიანთი რაიონების პასუხისმგებელი მომუშავენი და აგრეთვე სასოფლო საბჭოებს წარმომადგენელნი აღნიშნულ საძოვრებზე უშუალო მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ბრიგადების მუშაობაში მომთაბარე საქონლის აღწერის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის; ამასთანავე უნდა მისცენ მივლინებულ პირთ მიმოსვლისათვის საჭირო საშუალებანი და ამომწურავი მასალა გარეკილი საქონლის შესახებ (მეურნეობათა და საძოვართა სია, გარეკილ საქონლის რაოდენობა და სხვ.).

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველყოს თავისი რწმუნებულებისა (საძოვრების საქმეთათვის) და აგრეთვე საძოვრების გამგეებისა, მინდვრის მცველებისა და მიმაგრებული ზოოპერსონალის უშუალო მონაწილეობა საძოვრებზე აღწერის ჩატარებაში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედებისა, კვების მრეწველობისა, ადგილობრივი მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, მევენახეობა-მეღვინეობის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს და აგრეთვე „საქართველოს ჩაი“-ს, „საქ. რამი“-ს ლიმონმანდარინის ტრესტებს და სხვა უწყება-ორგანიზაციებს, რომელთაც ყავთ ოთხფეხი საქონელი, დაუყოვნებლივ დაამთავრონ საქონლის ინვენტარიზაცია 1937 წ. იანვრის 1-თვის იმ სახეებისა და ჯგუფების საქონლის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია აღწერის პროგრამაში.

4. დაევალოს საქონლის მყოლ სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობების დირექტორებს და აგრეთვე კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს — წარუდგინონ აღწერის რეგისტრატორებს, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმებით, ზუსტი და პირადად მათ მიერ შემოწმებული ცნობები საქონლის რაოდენობის შესახებ 1937 წ. თებერვლის 1-სა და 1937 წ. იანვრის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

5. წინადადება მიეცეს „ხორცტრესტს“ — დააკისროს თავის კონტორებს—წარუდგინონ 1937 წ. იანვრის 15-მდე სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს შემოწმებული ცნობები ხორცეულის ჩაბარების გეგმის შესრულების შესახებ მეურნეობების ცალკეული კატეგორიებისა და სხვადასხვა საქონლის მიხედვით (სულობით).

6. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა საქონლის აღწერის ჩატარებაში, პირადი მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიონ აღწერისათვის საჭირო ყველა სამუშაოს, თვით მასალის მიღებას და ჩაბარებასაც კი, კერძოდ:

ა) გაშალონ მოსახლეობის შორის მასობრივი მუშაობა წინამდგომარე აღწერის მნიშვნელობისა და ამოცანების ახსნა-განმარტებისათვის;

ბ) უზრუნველჰყონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოები აღწერის ჩატარებისათვის ნაცადი და მომზადებული მომუშავეებით საჭირო რაოდენობამდე;

გ) უზრუნველყონ აღწერის მომუშავენი სათანადო ტრანსპორტით, როგორც რაიონის შიგნით, ისე ზამთრის საძოვრებზედაც;

დ) მიამაგრონ სასოფლო საბჭოებს აღწერის მთელი დროის განმავლობაში პასუხისმგებელი სარაიონო მომუშავენი აღწერის ჩატარების საქმეში მათთვის კონკრეტული დახმარების გასაწევად.

7. საქონლის აღწერის სარაიონო შედეგებს, მეცხოველეობის მდგომარეობის ანალიზითურთ, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორები ჩააბარებენ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო სამმართველოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თანდასწრებით, რომელნიც გამოიწვევიან საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორებთან ერთად.

8. აღწერისათვის საქონლის დამალვაში დამნაშავე პირნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს დაამთავროს აღწერა 1937 წ. მარტის 1-თვის და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1937 წ. მარტის 15-სა საქონლის აღწერის და მესაქონლეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების წინასწარი შედეგები.

10. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ-ბის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს იხმარონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ამა დადგენილების განხორციელებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე— გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი— ვ. კვირიკაძე.

1937. წ. იანვრის 10.

◇

ბრძანება

გზათა სახალხო კომისრისა

1937 წლის 15 იანვარი № 8/ცგლ

მოიხსნას სამუშაოდან ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი მ. ა. როზენცვეიგი.

ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსად დაინიშნოს ამხ. ვ. ლ. პავერმანი, ამავე გზის პოლიტგანყოფილების უფროსის სამუშაოსაგან მისი განთავისუფლებით.

გზათა სახალხო კომისარი ლ. კაგანოვიჩი.

ბრძანება

გზათა სახალხო კომისრისა

1937 წლის 15 იანვარი № 7/ცგლ

ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსად დაინიშნოს ამხ. ი. ვ. ჟორჟოლაძე, ამავე გზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილის სამუშაოსაგან მისი განთავისუფლებით.

გზათა სახალხო კომისარი ლ. კაგანოვიჩი.

გზათა სახ. კომისარიატის პოლიტიკურ სამმართველოს უფროსი — ზიმინი.

◇ ◇ ◇

ჩაის სამუშაოთა გეგმები შესრულებულია

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. ლ. ბერიას

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის დადგენილებისა და ამხანაგ ბერიას მითითებათა მტკიცედ გატარების შედეგად, წულუკიძის რაიონმა 1936 წელს ჩაის სამუშაოთა გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა.

ჩაის ნიადაგი მომზადებულია 360 ჰექტარი—გეგმა შესრულებულია 237 პროცენტით; დათესილია 400 ჰექტარი (421 პროც.), აღდგენილია 32 ჰექტარი (123 პროც.); კაპიტალური რემონტი ჩატარებულია 74 ჰექტარზე (102,7 პროც.); მიმდინარე რემონტი—102 ჰექტარზე (128,2 პროც.); გაისხლა 404 ჰექტარი (100 პროც.); საზამთრო გადაბარვა ჩატარდა 505 ჰექტარზე (141,9 პროც.); ფოსფოროვანი სასუქი შეტანილია 175 ჰექტარზე (114,5 პროც.); აზოტოვანი სასუქი შეტანილია 300 ჰექტარზე (100 პროც.); დრენაჟის რემონტი შესრულებულია 281,000 სიგრძით მეტრზე (196 პროც.); ახალი დრენაჟი გაყვანილია 271,270 სიგრძით მეტრზე (129,3 პროც.); ჩაის ფოთოლი ჩაბარებულია 107,244 კილოგრამი (119,1 პროც.); ნაკელი შეტანილია 25 ჰექტარზე (100 პროც.); ქარსაცავი ზოლი გაშენებულია 17 ჰექტარზე (113,3 პროც.).

ვიბრძვით იმისათვის, რომ 1938 წელს ჩაის ფართობი ავიყვანოთ 2500 ჰექტარამდე.

საქ. კ.პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანი შ. თალაკვაძე

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ვლ. მონიავა

რესპუბლიკელთა წარმატებანი

ბრძოლა მადრიდისათვის

პარიზი, 15 იანვარი. (საქდესი). ესპანეთის 14 იანვრის ოფიციალურ ცნობაში ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ ნათქვამია, რომ მადრიდის ფრონტზე 13 იანვარს ღამით მთავრობის ჯარებმა მთელი რიგი გაბედული გალაშქრების შემდეგ დაიკავეს საუნივერსიტეტო უბნის პავილიონი და დასავლეთი პარკის ზოგიერთი პუნქტი. ხელთ იგდეს ტყვეები, აგრეთვე 4 ტყვიამფრქვევი და სხვა სამხედრო საჭურველი.

14 იანვარს მეამბოხენი გადმოვიდნენ გააფთრებულ იერიშზე და ცდილობდნენ უკან დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები დასავლეთ პარკში.

მთავრობის ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე პუნქტი სერო დე ლოს გამოსი, ხეივანსა და რკინიგზის სადგურს შორის პოსუელო დე ალარკონში.

რესპუბლიკელებმა გაარღვიეს მტრის ფრონტი ტერუელში

ლონდონი, 14 იანვარი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ბარსელონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, კატალონიის მთავრობის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ ტერუელის ფრონტზე რესპუბლიკელთა „ფოლადის კოლონამ" წინ წაიწია და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ იგი გარს შემოერტყა ესკანდონის ხეობას. რესპუბლიკელებმა დაიკავეს მტრის სანგრები, ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო მასალა.

ვალენსია, 15 იანვარი. (საქდესი). ტერუელის ფრონტზე კვლავ დაძაბული ბრძოლაა. რესპუბლიკელთა ჯარებმა წინ წაიწიეს ფრონტის თითქმის ყველა უბანზე, მიუხედავად იმისა, რომ მეამბოხეებმა თავი მოუყარეს დიდძალ რეზერვებს და მოზიდეს მძიმე არტილერია, აგრეთვე ტანკების საწინააღმდეგო და საზენიტო ქვემეხები, რომლებსაც გერმანელები უწევენ მომსახურებას.

13 იანვარს სახალხო მილიციის კოლონამ, რომელმაც გაარღვია მტრის ფრონტი ტერუელის სამხრეთით, ხელთ იგდო დაახლოვებით 70 ტყვე, რომლებიც სრულად შეიარაღებული იყვნენ, მათ შორის 47 მაროკოელი. გარდა ამისა ხელთ იგდეს უცხოური წარმოების 4 ტყვიამფრქვევი და დიდძალი ხელყუმბარა. დატყვევებულ მაროკოელებს შორის არიან 40 წელზე უფროსი მობილიზებული ჯარისკაცები და წვევამდელი ასაკის ახალგაზრდობა. ტყვეების ჩვენებით, მეამბოხეებს უკანასკნელი კვირის განმავლობაში მოუკლეს და დაუჭრეს დაახლოვებით ათასი კაცი.

რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიკავეს მეამბოხეთა მთელი რიგი პოზიციები

ბარსელონა, 15 იანვარი. (საქდესი). ფაბრის სააგენტო იუწყება, რომ არაგონიის ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარებმა განამტკიცეს თავისი პოზიციები მდინარე ებროს სამხრეთით მდებარე რაიონში და დაიკავეს მონფორტე, პიედრაიტა და მთელი რიგი სხვა სოფლები, აგრეთვე მეამბოხეთა მრავალი პოზიცია, რომლებსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ.

ჩრდილოეთიდან მადრიდის დაკავების ცდა ჩაიშალა

პარიზი, 15 იანვარი (საქდესი). ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება, რომ გრძელდება კონტრშეტევა, რომელიც რესპუბლიკურმა ჯარებმა დაიწყეს ორი დღის წინათ ლას როსასს უბანზე (მადრიდის ჩრდილო-დასავლეთით). მთავრობის ჯარებმა დიდად მნიშვნელოვანი პოზიციები წაართვეს მეამბოხეებს. სააგენტოს სიტყვით, ჯერ კიდევ არ არის დაწვრილებითი ცნობები, მაგრამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ საბოლოოდ ჩაიშალა მეამბოხე გენერალთა ცდა დაეკავებინათ მადრიდი ჩრდილოეთიდან.

მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობა

პარიზი, 15 იანვარი (საქდესი). საღამოს პრესა ათავსებს მადრიდის დაცვის კომიტეტის შემდეგ ცნობას, რომელიც დღეს შუადღისას გამოქვეყნდა:

„მიუხედავად მეტად არახელსაყრელი ატმოსფერული პირობებისა, მთავრობის ჯარებმა მთელი რიგი იერიში მიიტანეს მადრიდის ფრონტზე განსაზღვრული ამოცანებით. უნივერსიტეტის უბნის სექტორში მოწინააღმდეგე, მიუხედავად გააფთრებული წინააღმდეგობისა, იძულებული გახდა დაეტოვებინა კლინიკური ჰოსპიტლის მთელი რიგი შენობები. მეამბოხეებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 250 მოკლული.

მოგერიებულია მაროკოელთა ჯარების იერიში დასავლეთის პარკის რაიონში".

რესპუბლიკელებმა დაიკავეს მეამბოხეთა პოზიციები

ლონდონი, 15 იანვარი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, მთავრობის ცნობების თანახმად, რესპუბლიკელთა ჯარებმა, რომლებსაც დახმარებას უწევდა ავიაცია, ხიშტების იერიშით დაიკავეს მეამბოხეთა ძლიერ გამაგრებული პოზიციები პორკუნის (ხაენის პროვინცია) მაღლობზე. მეამბოხეებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 6 მოკლული და 14 დაჭრილი, რომელთა უმრავლესობა გერმანელებია.

რეიტერის სააგენტო უარყოფს ანტისაბჭოთა ფაშისტურ ცნობებს

ლონდონი, 15 იანვარი (საქდესი). რეიტერის სააგენტო ავრცელებს შემდეგ ცნობას:

„ინგლისის ოფიციალურ წრეებში სკეპტიკურად უყურებენ გერმანიის პრესის მტკიცებას ჩეხოსლოვაკიის საჰაერო ფლოტის გასაბჭოების შესახებ. ინგლისის წრეების ცნობით, ეს მტკიცებები დაუსაბუთებელია. გერმანიის პრესის მტკიცებანი, ინგლისის წრეების აზრით, წამოყენებულია განზრახ გაზვიადებული კამპანიის წესით".

პრაღა, 15 იანვარი (საქდესი). ჩეხოსლოვაკიის გაზეთები დიდი კმაყოფილებით ბეჭდავენ რეიტერის სააგენტოს ცნობას, რომელშიც უარყოფილია გერმანიის პროპაგანდის ჭორი ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ავიაციის „გასაბჭოების" შესახებ. გაზეთები ამ ცნობას აფასებენ, როგორც ფაშისტური პროპაგანდის აბსოლუტურ ჩაშლას.

უიკის სააგენტო საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 15 იანვარი (საქდესი). უიკის სააგენტო აღნიშნავს, რომ ლონდონი და პარიზი ახლა დგანან გერმანიის იერიშების პირველი ფაზის წინაშე ევროპის დასავლეთში. ისინი ანგარიშს უწევენ იმას, რომ მათ დასტოვეს მრავალი დიდადმნიშვნელოვანი პოზიცია თავისი კაპიტულაციის პოლიტიკის შედეგად გერმანიის აგრესიული პოზიციის წინაშე, როგორც სააგენტო აღნიშნავს, ინგლისი და საფრანგეთი შეშფოთებული არიან და კითხვას აყენებენ: „დიდ ხანს შესძლებს და მოისურვებს თუ არა საბჭოთა კავშირი იმოქმედოს განმარტოვებულად საერთაშორისო წესრიგის დამცველის სახით დასავლეთში?". მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ შეთანხმებას ფარსის ხასიათი აქვს, განაგრძობს სააგენტო, საბჭოთა დიპლომატიამ ყოველი ძალ-ღონე იხმარა, რათა მიღებული ყოფილიყო ზომები, რომლებიც შეაჩერებდნენ გერმანიის შეჭონვას და შეჭრას დასავლეთ ევროპაში.

სააგენტო ხაზს უსვამს, რომ საფრანგეთისა და ინგლისის პოზიცია სამხედრო-თავდაცვითი მხრით ამჟამად თვალსაჩინოდ უარესია იმასთან შედარებით, როგორიც ის იყო ესპანეთის სამოქალაქო ომამდე. იგი აღნიშნავს, რომ ეს მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა რეინის ოლქის რემილიტარიზაციისა და გერმანიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღებიდან. ამრიგად, განაგრძობს გაზეთი, სსრ კავშირმა, დასდო რა საფრანგეთ-საბჭოთა ხელშეკრულება, იმ მომენტში აღუთქვა დახმარება საფრანგეთს და არაპირდაპირ ინგლისს, როდესაც გერმანიის მიმართ ამ სახელმწიფოთა მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ამჟამად არის. გარანტიის მიმცემ ქვეყნებს შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ ისინი, ვისაც გარანტია ეძლევათ, მიიღებენ ელემენტარულ წინასწარ გამაფრთხილებელ ზომებს, რათა არ დაუშვან თავიანთი სტრატეგიული პოზიციების გაუარესება, მაგრამ საფრანგეთმა და ინგლისმა არ მიიღეს ეს გამაფრთხილებელი ზომები. ამიტომ ლონდონსა და პარიზში აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირს შეუძლია ერთ მშვენიერ დღეს განაცხადოს: ხელსაყრელ მდგომარეობას, რომლის დროსაც მიცემული იყო დახმარების გარანტიები, უგნურად ზიანი მიაყენეს. ამის გამო საბჭოთა კავშირმა უნდა გადასინჯოს სიტუაცია მთლიანად. ასეთი შესაძლებლობის თავიდან აცილება, განაგრძობს სააგენტო, ახლა შეიძლება ენერგიული საერთო მოქმედებით. თანამშრომლობას საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ინგლისის და ესპანეთის მთავრობებსა და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მთავრობებს შორის კიდევ შეუძლია უზრუნველჰყოს მშვიდობიანობა ევროპაში გერმანიის თავდასხმისაგან. მაგრამ, აღნიშნავს დასასრულ სააგენტო, უკვე არსებობს იმის შიში, რომ სსრ კავშირი დაიღალა დასავლეთის დემოკრატიის დაცვით და თვითონ მასვე დააკისრებს საკუთარი პრობლემებისთვის მუშაობას.

მდგომარეობა ესპანეთის ფრონტებზე

ბარსელონა, 15 იანვარი. (საქდესი). ფაბრის სააგენტო იუწყება: „მადრიდის ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარებმა აფეთქეს საუნივერსიტეტო უბანში კლინიკური ჰოსპიტალის ახლოს გაყვანილი ხვრელი. აფეთქებამ უდიდესი ნგრევა გამოიწვია. აფეთქების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ახალი პოზიციები. მეამბოხეებს მოუკლეს 250-მდე კაცი. უკანასკნელი დღეების განმავლობაში მთავრობის ჯარების რაზმებმა დამაკმაყოფილებელი შედეგებით ჩაატარეს რამდენიმე უაღრესად გაბედული ოპერაცია. რესპუბლიკელთა სარდლობა გამაფრთხილებელ ზომებს ღებულობს მეამბოხეთა შესაძლებელი შემოტევის წინააღმდეგ. დღეს დილით მეამბოხეებს განზრახული ჰქონდათ იერიში მიეტანათ ესტეპონზე, მაგრამ რესპუბლიკელთა ჯარებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს".

ფლოტისა და ავიაციის სამინისტროს კომუნიკე

პარიზი, 15 იანვარი (საქდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს საზღვაო ფლოტისა და ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს, — რომელიც ვალენსიაში გამოქვეყნდა:

14 იანვარს, დილის 7 საათსა და 30 წუთზე, მეამბოხეებმა მალაგას ყუმბარები დაუშინეს ჰაერიდან და ზღვიდან იმ მიზნით, რომ შეექმნათ დესანტის გადასხმის შესაძლებლობა ესტეპონის ახლოს. მთავრობის თვითმფრინავებმა შენიშნეს მეამბოხეთა რამდენიმე გემი, რომელთა შორის იყო კრეისერი „კანარიასი" და „ალმირანტე სერვერა". უკანასკნელს დააყარეს ას-ას-კილოგრამიანი ყუმბარები, რომელთაგან ორი მოხვდა ნიშანში; ამის შემდეგ „ალმირანტე სერვერა" გაემართა სეუტისკენ.

სხვა გემები გაფანტეს; დესანტის გადასხმა არ მოხერხდა.

ვაიო — ესპანეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში

ვალენსია, 15 იანვარი. (საქდესი). ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვაიო დანიშნულია ესპანეთის წარმომადგენლად ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე, რომელიც გაიხსნება 21 იანვარს.

პრესის გამოძახილი რომის მოლაპარაკებაზე

ლონდონი, 15 იანვარი (საქდესი). „ტაიმსი", აღნიშნავს რა რომ მუსოლინი და გერინგი ერთმანეთს უზიარებენ აზრს მდგომარეობის შესაძლებელი განვითარების საკითხის შესახებ ესპანეთში, მიუთითებს მუსოლინის გადაწყვეტილებაზე „არავითარ შემთხვევაში არ შეიწყნაროს წითელი ესპანეთი".

„მორნინგ პოსტი" სწერს: იმ მოლაპარაკების ვითარებაში, რომელსაც გერინგი აწარმოებს რომში „საგრძნობია მეგობრობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო განსაკუთრებით ინგლისის მიმართ". ორივე მხარე, სწერს გაზეთი, შეისწავლის, თუ რამდენად შეუძლია მიემხროს ინგლისის წინადადებებს ესპანეთის საკითხში.

„დეილი მეილის" ცნობით, გერინგი სიტყვას იძლეოდა, რომ გერმანიას არა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები ხმელთაშუა ზღვაზე. ამ სიტყვის პასუხად მუსოლინიმ ახსნა-განმარტება მისცა ინგლის-იტალიის შეთანხმების შესახებ; მან ხაზი გაუსვა, რომ ეს შეთანხმება ეწინააღმდეგება გერმანიის კოლონიურ პრეტენზიებს, ვინაიდან კოლონიები, რომელთა მოპოვებასაც გერმანია ცდილობს, ხმელთაშუა ზღვის ახლოს არ მდებარეობენ.

„დეილი ჰერალდი" სწერს: გერინგის ვიზიტის მთავარი ამოცანა რომში არის გააფრთხილოს იტალია, რომ გერმანია უფლებამოსილად სთვლის თავს, რათა გენერალ ფრანკოსაგან უფრო დიდი კონცესიები მიიღოს.

პარიზი, 15 იანვარი (საქდესი). საფრანგეთის პრესა ხაზს უსვამს გერინგის რომს გამგზავრების მნიშვნელობას. „ეკო დე პარი" რომიდან მიღებულ დეპეშაში აღნიშნავს: გერინგის მოლაპარაკებას მუსოლინისთან განსაკუთრებული პოლიტიკური ხასიათი აქვსო. ავტორიტეტულ წრეებში ირწმუნებიან, რომ ამ მოლაპარაკების დროს არ აღძრულა იტალია-გერმანიის სავაჭრო ურთიერთობის საკითხი. არ აღძრულა არც სხვა ეკონომიური საკითხები. შეთანხმების ძირითადი, თუ არა ერთადერთი თემა, არის გერმანიისა და იტალიის პოლიტიკის შეთანხმების საკითხი ესპანეთის მიმართ.

ტაბუი „ევრში" აღნიშნავს, რომ გერმანიის პრესის ახლანდელი გაცოფებული ანტიფრანგული კამპანია არის მუსოლინისთან გერინგის პირველი მოლაპარაკების შედეგი.

სამხედრო აჯანყება კორდოვაში

ლონდონი, 15 იანვარი. (საქდესი). „ბრიტიშ იუნაიტედ პრესის" სააგენტოს ცნობით ვალენსიაში, საზოგადოებრივი უშიშროების საქმეთა სამმართველოს მდივანმა განაცხადა, რომ იტალიის ათასეული, რომელიც ამასწინათ აბისინიიდან დაბრუნდა, გაგზავნეს მეამბოხეთა ცნობილი ლეგიონის აჯანყების ჩასაქრობად კორდოვაში. ამ ლეგიონის ყველა ოფიცერი სიკვდილით დასაჯეს, ჯარისკაცები კი ისევ დაპატიმრებული არიან; მათ უცხოელთა მცველი რაზმი ყარაულობს.

საბურთალოზე შენდება ახალი სამედიცინო ქალაქი, სადაც რამდენიმე ათეული კორპუსი იქნება. ქალაქში მოთავსდება სამედიცინო დაწესებულებანი, კლინიკები, სამედიცინო სასწავლებლები და სხვ. მთელი მშენებლობა დაჯდება 53 მილიონი მანეთი და დამთავრდება 1942 წელს. ამჟამად დამთავრებულია პირველი კორპუსი — საერთო საცხოვრებელი 400 კაცისათვის (შენობა აგებულია არქიტექტორ შავიშვილის პროექტით). სურათზე: სამედიცინო ქალაქის ახალი საერთო საცხოვრებელი.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

საქ. სახკომსაბჭოში

— **ფოლად-თუჯის ჩამომსხმელი** ცენტრალური ქარხანა („ცენტროლიტი") სახკომსაბჭოს დადგენილებით გამოეყო ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და გადაეცა საკავშირო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

— **სახკომსაბჭომ მიიღო** დადგენილება 1937 წლიდან ჩაის ფოთლის კონტრაქტაციის შემოღების შესახებ. საკონტრაქტაციო ხელშეკრულების ტიპიური პროექტი მოწონებულია.

— **საქართველოში მეცხოველეობის** განვითარების მიღწევათა შესამოწმებლად და საქონლის რიცხვის გამოსარკვევად, საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს დავალებული აქვს შეუდგეს საქონლის აღწერას რესპუბლიკაში, ხევსურეთისა და მთათუშეთის გარდა, აღწერა უნდა დამთავრდეს 1 მარტისათვის. აღწერის შედეგად უნდა გამოირკვეს მეცხოველეობის მდგომარეობის სურათი საქართველოში 1937 წლის 1 თებერვლისათვის.

— **სახკომსაბჭოსთან არსებული** საარბიტრო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ბერბერაშვილის სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო საქართველოს მთავარ არბიტრად დანიშნულია ამხ. გ. ნაფეტვარიძე.

◇

ახალი სამუშაოები თეძამში

თეძამის ტუფი (გრაკლის მახლობლად) ითვლება საუკეთესო საშენ მასალად, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა, განსაკუთრებით თბილისში. 1937 წლის განმავლობაში ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა აქ უნდა მოაწყოს ახალი კარიერი, განაახლოს მუშაობა ძველ კარიერზე და ამოიღოს 50.000 კუბიკური მეტრი ტუფის ნათალი ქვა.

თეძამის ტუფის სამუშაოთა გასაშლელად გადაწყვეტილია გზატკეცილის გაყვანა სადგურ გრაკლიდან კარიერებამდე. წელსვე დაიწყება რკინიგზის ხაზის მშენებლობა თეძამიდან გრაკლამდე.

გადაწყვეტილია სამუშაოთა მექანიზაცია. ამიტომ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი უკვე იწყებს თბოელექტროსადგურის მშენებლობას.

◇

წერილი რედაქციას

თბილისს უნდა ჰქონდეს მეცნიერთა სახლი.

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო!

საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქში არსებობს ე. წ. მეცნიერთა სახლი, რომელიც წარმოადგენს მეცნიერ მუშაკთა შეკრების ადგილს, მეცნიერული მუშაობის ურთიერთ გაზიარების და კულტურული დასვენების კერას, აგრეთვე სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ მეცნიერ მუშაკთა მომსახურების ადგილს.

ამ მხრივ თბილისი ჩამორჩება. იმ დროს, როდესაც თბილისში ხელოვნების და ლიტერატურის მუშაკებს ორი სახლი აქვთ, და მრავალი სხვა დარგის მუშაკიც უზრუნველყოფილი არიან ამ მხრივ, მეცნიერ მუშაკებს არ გააჩნიათ თავიანთი სახლი.

ეს მით უმეტეს უხერხულია, რომ თბილისი ამჟამად წარმოადგენს მეცნიერების ერთერთ მოწინავე ცენტრს საბჭოთა კავშირში. სხვას რომ თავი დავანებოთ, თბილისის არაერთი სამეცნიერო დაწესებულება, ალბათ, ბევრჯერ ჩავარდნილა სირცხვილში, როდესაც მას სხვა ქალაქებიდან ჩამოსული მეცნიერი მუშაკების შესახვედრად სახლი დასჭირებია.

თბილისში უნდა აშენდეს მეცნიერთა სახლი!

დოც. ა. ბუხნიკაშვილი.

პუშკინის გამოფენა საჯარო ბიბლიოთეკაში

დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით საიუბილეო სამზადისში ერთი პირველთაგანი ჩაება საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკამ მოიწვია საუკეთესო მეცნიერული ძალები, რომელთა დახმარებით გაარჩიეს და შეისწავლეს ბიბლიოთეკის მდიდარი საწიგნო, საგაზეთო და სხვა ფონდები, საიდანაც გამოვლინებულ იქნა დიდძალი მასალა ალ. პუშკინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამ მასალების საფუძველზე გაიშალა ფართო საექსპოზიციო მუშაობა.

ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში მოეწყო ახალი კაბინეტი სპეციალურად პუშკინის გამოფენისათვის, დამზადებულია 10 ვიტრინა.

გამოფენა შესდგება ორი მთავარი ნაწილისაგან. პირველი — ისტორიულ-ლიტერატურული ნაწილი, რომელშიაც მოცემულია ალ. პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარი მომენტები. მეორე — მხატვრული ნაწილი (პორტრეტები, ესკიზები, კარიკატურები და სხვ.).

გამოფენას აქვს მრავალი ქვე-განყოფილება: „პუშკინის წარმოშობა", „სოციალ-პოლიტიკური პირობები, რომლებშიაც წარმოიშვა და განვითარდა ალ. პუშკინის გენია", „ლიტერატურული წრე, რომელშიაც სწავლობდა ალ. პუშკინი", „პუშკინი ოჯახში", „პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარი მომენტები", „პუშკინი საქართველოში და საქართველოს შესახებ" და სხვ.

გამოფენისათვის მხატვ. ქეთო მაღალაშვილმა დაამზადა პუშკინის მხატვრული პორტრეტი, მხატვ. ს. მაისაშვილმა —სურათი პუშკინის ლექსის „კავკასიონის" მიხედვით და მხატ. გურომ „В России нет закона"-ს მიხედვით. გამოფენა გაიხსნება საიუბილეო კომიტეტის მიერ ნაჩვენები დღისათვის.

ს. ზირგიშვილი

მიეცით ქვეყანას 150.000 მფრინავი

პროფკავშირთა მონაწილეობა მფრინავთა ახალი კადრების მომზადებაში

მენჟინსკელების მოწოდებამ, რომ უახლოეს დროშივე ჩვენს ქვეყანას მივცეთ 150.000 მფრინავი, ფართო გამოხმაურება ჰპოვა პროფკავშირულ მასებში. ამ გამოხმაურების შედეგად, პროფკავშირთა საბჭომ განიხილა მფრინავთა ახალი კადრების მომზადებაში პროფკავშირების მონაწილეობის საკითხი. გადაწყდა, აეროკლუბების საფრენოსნო სკოლებში მსმენელთა შეგროვებისას ადგილობრივმა პროფორგანიზაციებმა გამოჰყონ მოწინავე სტახანოველი და დამკვრელი ახალგაზრდა მუშები, გაუწიონ მათ დახმარება სწავლებაში და ყურადღება მიაქციონ მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუშათა კლუბებში, კულტურის სახლებსა და წითელ კუთხეებში უნდა მოაწყონ სპეციალური მხატვრული საღამოები, მოხსენებები და საუბრები თავდაცვის საკითხებზე, ავიაციის, პლანერიზმისა და პარაშუტიზმის მნიშვნელობაზე.

პროფკავშირებმა უნდა მოაწყონ აგრეთვე საწარმოთა მუშების ექსკურსიები აეროკლუბებსა და აეროდრომებზე.

◇

მასწავლებელთა ხელფასის დროულად გაცემისათვის

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება მასწავლებელთა ხელფასის გაცემის ახალი წესის შესახებ. ქალაქებში, რაიონთა ცენტრებში, მუშათა დასახლებულ ადგილებსა და სოფლებში მომუშავე მასწავლებელთათვის ხელფასის თანხა უნდა გადაირიცხოს ადგილობრივ განათლების განყოფილებებს 5 დღით ადრე ხელფასის დარიგებამდე.

მასწავლებელთა ხელფასის თანხების დროულად გადარიცხვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სათანადო რაიაღმასკომების, საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს და ფინანსიურ განყოფილებათა გამგეებს. მასწავლებელთა ხელფასის გაცემის დაგვიანებისათვის ისინი პირადად იქნებიან მიცემული პასუხისგებაში.

ფინანსთა სახალხო კომისარიატს დავალებული აქვს თვალყური ადევნოს საქართველოს სახკომსაბჭოს ამ დადგენილების ზუსტად განხორციელებას.

სასამართლო

კაცი ძაღლს ანაცვალა!

— მაი, თქვე ოხრებო, თქვენა, რას გააჩანაგეთ ეს ჭირნახული? დაუტია მეველემ ყანაში მოთარეშე ძაღლებს, გაბოროტდა აბეზარ „სტუმრებზე", დაედევნა.. —გადით! გადით! უყვიროდა მავნებლებს, ყოველ საღამოს სიმინდის ხვავს რომ ატალახებდნენ.

— არც ახლა წახვალთ? ჩახმახს ხელი გამოსდო და უკუნეთივით ბნელი და ჩუმი ღამე ჯერ გასროლილმა ტყვიამ და შემდეგ ძაღლის წკმუტუნმა გააყრუა.

შეუწუხდა მანასე, როცა რიჟრაჟზე მოკლულ ძაღლს დახედა: — დასწყევლოს, თავმჯდომარისა ყოფილაო! არ იცოდა, როგორ მოეხდა მიტო მისირელის წინაშე ბოდიში, რითი გაებათილებინა თავისი წინდაუხედავი საქციელი.

სოფელ წილკნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიტო მისირელი კი არავითარ ბოდიშს არ იკარებდა,—ძაღლი მომიკლა და მორჩა! გაიძახოდა იგი მეორე დღეს სოფლის საბჭოში, — მკვლელს დილასვე შინდოდა გავსწორებოდი, მაგრამ შევჩერდი...

საქმე თანდათან მწვავდებოდა, მიტო მისირელი კოლმეურნეს — მანასე საზანდაროვს ემუქრებოდა, ძაღლის სიკვდილს ვერ ურიგდებოდა.

— რა ვქნა მომიხდა, ახლა შეცა ვდარდობ, მაგრამ რაღას ვუშველი? შესჩივლა თავისი ხიფათი მანასემ ადგილობრივი მილიციის სადარაჯოს უფროსს. — გადამახდევინონ ერთი-ორად, სამად, აი საზაგიერო ძაღლს ვუყიდი, ოღონდ შემირიგდეს. მილიციაც ამ აზრისა იყო. შესარიგებლად ორივენი დაიბარეს, მაგრამ მისირელის გულს რა მოალბობდა? არ მოვიდა... ისევ გზას გაუდგა მანასე, ყანისაკენ გასწია...

დაღამდა... მანასემ ცეცხლი გაჩაღა და მარტოობის სევდის გამქარვებელ გტერდზე მოუჯდა.. ჩალაბულის ალზე მისი ჩაფიქრებული სახე და მთელი ტანი ნათლად მოსჩანდა. მისირელსაც ეს უნდოდა. შეიარაღებული, ფეხაკრეფით ნელნელა სიმინდის ყანაში თავის მსხვერპლს უახლოვდებოდა...

აი დაუმიზნა... სწორედ გულში მოხვდება, მგონი! გაიფიქრა და განზრახვას გზა მისცა. მოჰკლა სადარაჯოზე მყოფი პატიოსანი კოლმეურნე. აიღო „ძაღლის სამაგიერო სისხლი"..

13 იანვარს თბილისის გარეუბნის რაისასამართლომ, ამხ. პაქსაშვილის თავმჯდომარეობით, გაარჩია ულირსი თავმჯდომარის საქმე. სოცდაცვის ღონისძიებად მისირელს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

შ. ჩ.

ა. იაბლოჩკინას დაჯილდოება

თეატრალური ხელოვნების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, რსფსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალექსანდრა ალექსანდრეს ასული იაბლოჩკინა სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

◇

ახალი ამბები

„გლავკოოპზუპრომის" საქართველოს კანტორას გადაწყვეტილი აქვს საკუთარი ავტოტრანსპორტით მიაწოდოს ფეხსაცმელი თბილისის მახლობელი რაიონების სავაჭრო ქსელს.

თბილისის მუშათა კლუბებში შეუდგნენ მზადებას პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედებაზე გამოფენების მოსაწყობად. გამოფენები გაიხსნება 10 თებერვალს.

ცეცხლგამძლე ჰიდრავლური ცემენტის მისაღებად დაწყებულია ლაბორატორიული ცდები თბილისის სამეცნიერო - საკვლევ ინსტიტუტში. პირველი შედეგები დამაკმაყოფილებელია (ცეცხლგამძლე ჰიდრავლური ცემენტი ახალი ამერიკული აღმოჩენაა და მას იქ საიდუმლოდ ინახავენ).

საქ. პროფსაბჭომ დაამუშავა ღონისძიებები ბავშვთათვის კულტმომსახურების გაწევისა მუშათა კლუბებში, კულტურის სასახლეებსა და წითელკუთხეებში.

◇

შემთხვევები

#**გაუფრთხილებელი ხვლა.** 8 იანვარს, დღისით, ქორის ქუჩაზე მსუბუქმა ავტომანქანამ № 3—71, რომელსაც მართავდა შოფერი გ. ი. ზაქსი, დააშავა მოქ. დ. ს. კედიაშვილი (აზირის ქ. 3). შოფერი დააპატიმრეს.

#**მკვლელობა.** 14 იანვარს ღამით მერკვილაძისა და კალინინის ქუჩების კუთხეში გ. ვ. ბალდასაროვსა და მ. პ. დავითიანს (სემიონოვის ქ. № 16) პირადი ანგარიშის ნიადაგზე ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც ბალდასაროვმა რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა დავითიანს და მიიმალა. საავადმყოფოში მიყვანისას დავითიანი გარდაიცვალა. მკვლელის შესაპყრობად მიღებულია ზომები.

#**გაუფრთხილებელი ხვლა.** 14 იანვარს მიასნიკოვის ქუჩაზე № 5 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი დაეჯახა მოქ. ი. ა. ბრანჩუკს, რომელიც ქუჩას გადადიოდა. დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს. ვატმან ტ. რ. ვართანოვს პასუხისგებაში აძლევენ.

◇

პარტკალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 17 იანვარს, საღამოს 8 საათზე, რაიკომში პარტდოკუმენტების გამოცვლის საკითხთან დაკავშირებით.

მ. ს. ოკმინიანი, ა. მ. აკოფიანი, ვ. გ. კოკოლაშვილი, ი. ი. კოვალევი, ლ. მ. ლალოიანი, ი. მ. ლაპტევი, ლ. ს. ფალიანი, ს. ი. გოზალოვა-ქუსელი, ი. ფ. გრგუტა, რ. ი. სანაია, ც. ლ. ახმეტელაშვილი, ს. ტ. სტეფანიანი, ა. გ. დათიაშვილი, ა. ს. სუპრუნოვი, ე. გ. რეზაკოვა, მ. შ. ჩიტაიშვილი, მ. ს. ავაკიანი, ს. მ. ოსიპოვა, ა. ფ. ჩაჩიბაია, მ. დ. კიკალიშვილი, გ. გ. შახბაზიანი, გ. დ. ილინი, ს. ზ. ჯიოევი, გ. ა. ზარმარიანი, ა. ზ. ქსენოკრატოვი, მ. ა. გოფმანსკი, გ. ბ. ქავთარაძე, გ. ვ. მელქაძე, შ. ი. აბრამიშვილი, ა. ზ. კალანდაძე, ნ. კ. აფრიდონიძე, ა. გ. აბაიშვილი, მ. ა. ჩიქვილაძე, ე. ა. ჯაჯაშვილი, ა. გ. თურქაძე დ. დ. ზალდარიძე, ა. დ. იორდანიძე, ს. პ. გოზალიშვილი, ა. სტეფანიანცი, ვ. ზ. კვირიკაძე, ი. ზ. ჩიკაძე, ქ. ი. კოპალიშვილი, ე. ი. ფარუჯიკი, ს. ი. აკიმოვი, ა. იურიევი, ს. მ. მოსესოვი.

○

დღეს, 17 იანვარს, საღამოს 7 საათზე, ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის შესდგება მოხსენება თემაზე: „ამხანაგ სტალინის მიერ რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტის დაარსების 35 წლისთავი".

○

17 იანვარს, საღამოს 7 საათზე, სტალინის რაიკომის პარტგანათლების სახლში პროფ. ათაბეგოვი პროპაგანდისტებისა და პარტაქტივისათვის წაიკითხავს ლექციას ეკონომიური გეოგრაფიიდან თემაზე: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა".

ლენრაიკომის პარტკაბინეტი იტყობინება, რომ 18 იანვარს, დღის 12 საათზე, კინოთეატრ „ოქტომბერში" მოხდება კინო-სურათის „მფრინავი მღებარის" გასინჯვა და განხილვა პარტაქტივის მიერ.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

17-I	სასტუმროს დიასახლისი
18-I	სასტუმროს დიასახლისი

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

17-I წარ. № 84	ძალად ექიმი
18-I წარ. № 85	შორეული

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი თეატრი — სეზონი 1936—37 წ.

25 იანვრიდან იწარმოებს შემდეგი თვეების მუდმივი ადგილებზე ბილეთების გაცემა.

ბილეთების მისაღებად აუცილებელია მესამე და უკანასკნელი გადასახადის შემოტანა. წარმომადგენლებმა თან უნდა იქონიონ გადარიცხვის ცნობა და მინდობილობის ბარათი. 6

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6. 7-40, 9-20, 11	ახალი ხმოვანი ფილმი უმჩითვოდ პატარძალი რეჟ. — ი. პროტოზანოვი.
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	ორი უკანასკნელი დღე პატიმრები
კომკავშირელი 6,7 40,9-20,11	ხმოვ. მხატვ. ფილმი მსოფლიოს დიდება სოფიო მაგარილის მონაწ.
რ. ლუქსემბ. დღით და საღ 6-30,8,9 30,11	ორი უკანასკნელი დღე ბ ა ჯ ე თ ი საბრძოლო ოლიმპიადა.
26 კომ. სახ. 6-30, 8, 9-30 11	საბლვ. ხმოვანი ფილმი ა ნ ტ ე კ ა პოლიციელი ჯერი
ახალი ამბები 6-30	ესპან. ამბ.— 10 და 11 გამოშ. რკინის გზელი, საუცხოვო სახახლე.

დღეს, 17 იანვარს და

ყოველდღე
კიტო
სახცირკი
ЦЕНТРОГОСЦИРКАМИ
ტელ. 3-11-44
გასტროლები - თავისი 25 ასისტენტით

და აგრეთვე მთელი დასი. დასაწყისი 8-30 წ.

სალარო ღიაა 12 ს. 2 საათამდე და 5 ს. 10—4

СБЕРЕГАТЕЛЬНАЯ КНИЖКА

შემნახველი სალაროები

ღებულობენ ანაბარებს და გასცემენ მათ მეანაბარის პირველი მოთხოვნისთანავე.

სასტიკად იცავენ ანაბარის საიდუმლოებასა და ხელშეუხებლობას.

ღებულობენ საანდერძო განკარგულებებს ანაბარებზე.

იხდიან პროცენტებს ანაბარებზე.

გასცემენ და ანაღდებენ აკრედიტივებს.

ანაღდებენ სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების მოგებებსა და კუპონებს.

ხართ თუ არა თქვენ შემნახველი სალაროს მეანაბრე?

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპ. № 34 ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67. სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოსი — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24. ღამის რედაქტორის — 3—26—67 გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ტფ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. №68. მთავლიტის რწმუნებული ა—8181